საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

შაბათი, 13 ივლისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება [illegible] ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 155 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 155

## საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძველი პარტიული მუშაკის დამფუძნებელ კრების წევრის მრავალ-ტანჯულ ამხანაგის

**ლავროსი კილურაძის**

უდროოთ გარდაცვალებას.

გულ მოწამლულნი: ნათლის დედა ანეტა და ნათლის მამა ალექსანდრე თოხაძენი, მონათლულნი: ზინა, კარლო, ლილი და მარიამნა—მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასის და საყვარელის ნათლიას

**ლავროსი კილურაძის**

(2248 2—2)

თავზარდაცემული ამხანაგი ვანო კომახიძე აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს დამფუძნებელი კრების წევრის ამხ.

**ლავროსი კილურაძის**

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას

(2250 2—2)

დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს დამფუძნებელ კრების წევრის

**ლავროსი კილურაძის**

უდროოთ გარდაცვალებას.

მარიკო, მადლენა, მარსელი, შალვა და კისია ჯაყელი აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ დღეს 13 ივლისს დილის 11 საათზე გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი უდროვოდ დაკარგულ საყვარელ მამის

**სიმონ ქაიხოსროს ძე ჯაყელის**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადახდილი იქნება ივანე ხვთის მეტყველის ეკლესიაში, ყორღანოვის ქ. (2260 1—1)

ნამეტი ქაიხოსროს ასული თალაკვაძისა შვილებით ის იდორე, ტიტიკო, [illegible] აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 13 ივლისს დილის 11 საათზე [illegible] გადახდილი იქნება პანაშვიდი [illegible]

**სიმონ ქაიხოსროს ძე ჯაყელის**

სულის მოსახსენებლად.

(2275 1—1)

[illegible]

**ნადეჟდა ივანეს ასული დვორიაკოვსკაიასი**

[illegible]

**ნადეჟდა ივანეს ასული დვორიაკოვსკაიასი**

[illegible]

## ახალი წიგნი

გამოვიდა [illegible]

**„ბუნება და ჯანმრთელობა“**

[illegible] ფასი 50 მ.

(2224—3—2)

## სახელმწიფო ქაღალდების დამზადების ექსპედიცია

[illegible] 14 ივლისს, საღამოს 5 საათზე, [illegible]

## საჯარო ვაჭრობა

[illegible]

(5. 2—2)

[illegible] 14-ის [illegible] № 83 [illegible]

## „ზლან-ნუარ“

[illegible]

(2274—1—1)

## ქუთაისის ხრამ [illegible]

[illegible]

## [illegible] ყველა % დამატებით

[illegible] curriculum vitae [illegible]

(2270—1—1)

1 ივლისიდან გამოდის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორკვირეული ქართულ-რუსული ჟურნალი

**„საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა“**

ხელის მოწერის ფასი წლის დამლევამდე 1700 მ. ხელის მომწერლებს კვირაში ორჯერ დაურიგდებათ სავაჭრო ბიულეტენები. მისამართი: თფილისი, ეროვნული საბჭოს ქ. (ყოფილი ფრეილინისა) № 11, ტელეფ. 9—18.

(2243—3—2)

## საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

იწვევს

## ექიმს ინსტრუქტორს

რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს საექიმო-სასანიტარო აღმშენებლობის საქმეს ქალაქებში და იკისროს საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგის თანაშემწეს მოვალეობის ასრულება; სამსახურის პირობები: ჯამაგირი—9.000 მ. თვიურათ, მოგზაურობის დროს დღიური—300 მ., მეორე კლასის ბილეთი რკინის გზაზედ და ერთი ადგილი სასწრაფო ეტლში. საჭიროა განსაზღვრული სტაჟი საზოგადოებრივ მედიცინაში. განცხადებები „curriculum vitae“-თი მიიღება ყოველ დღე ქალაქთა კავშირის ბინაზედ (პუშკინის ქუჩა № 3) 20 ივლისამდე.

(2276—1—1)

ექიმი

**ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი**

იღებს საბებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.

2048—თ.

## ჩვენ და ეკლესია

ამ ბოლო დროს ისევ წარმოსდგა საკითხი ეკლესიასთან დამოკიდებულების შესახებ. საქართველოში რამდენიმე სარწმუნოების ხალხი ცხოვრობს. მართლმადიდებელი, მუსულმანი, გრიგორიანი და სხვ. რომელიმე მათგანის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ დაყენება—იქნებოდა დიდი კლერიკალური ნაბიჯი და თან დანარჩენი სარწმუნოების ხელოვნურად დაჩაგვრა. ეკლესია კი საგანია რწმენის. სარწმუნოება საქმეა სვინდისის. ხოლო სვინდისის თავისუფლება მოითხოვს ყოველ სარწმუნოებას მოვეპყროთ სრულის თანასწორობით ისე, როგორც ყოველ რწმენას, ყოველ მსოფლმხედველობას. ამ ძირითადი დებულებიდან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ არ ვებრძვით სარწმუნოებას სახელმწიფოებრივი იარაღით, არ ვცდილობთ ერთის დაჩაგვრას და მეორის გაბატონებას. მაგრამ არც სარწმუნოების მიმდევართ ვაძლევთ საშუალებას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერიონ და რწმენის საკითხი პოლიტიკურ ფაქტორათ აქციონ. სამღვდელოების ასეთ ტენდენციებს, რომელსაც აქვს ისტორიული მიზეზები, მაგრამ არა აქვს გასამართლებული საბუთი დღევანდელ ვითარებაში, ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ,

ეკლესია თავისუფალი, დამოუკიდებელი კავშირია მოწმუნეთა შორის და სახელმწიფო მათ რწმენის საგანში არ ერევა.

აქედან იბადება აუცილებლობა ეკლესიის და სახელმწიფოს განშორების, მათი ცალ ცალკე ცხოვრებისა.

ფაქტიურათ ეს ჩვენში უკვე რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე განხორციელებულია. იურიდიულათ ამის ჩამოყალიბება მოითხოვს მხოლოდ განსაკუთრებულ ორგანოების შექმნას იმ ფუნქციების შესასრულებლათ, რომელთაც წინეთ სამღვდელოებას ითხოვდა, ე. ი. დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების და სხვათა. რეგისტრაციას, სამოქალაქო ქორწინების წესის შემუშავებას და სხ.

ამ მხრივ სადაო და სადავიდარაბო არაფერია.

მაგრამ ეკლესია წარსულში დიდი ეროვნული მოვლენა იყო, ეკლესიის გარშემო იყრიდა თავს სახელმწიფოებრივი ენერგია, იქ იყო ელემენტი—ერის შემართებელი და ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული კულტურა უმთავრესათ ეკლესია-მონასტრებში გროვდებოდა. ბერმონაზონთა კოლეგია იყო მთავარი მატარებელი სულიერი კულტურის და ეს ქმნიდა სამღვდელოების ბატონობას. დღეს სულიერი კულტურის მეთაურობა მათი იმდენათ დაკარგულია, რომ წარსულშიც მათი ასეთი როლი ბევრს არა სჯერა. მაგრამ ქონებრივი კულტურა კი დიდია მოგროვილი ეკლესია მონასტრებში.

ეს ქონება ეკუთვნის ერს, მთელ ხალხს და არა ეკლესიის მსახურთ-ბერმონაზონთ. იგინი დღემდე მხოლოდ მცველია ამ ქონების. როგორი მცველი—ეს სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ვერავინ უარყოფს, რომ ამ სიმდიდრის დიდი ნაწილი ისე გაქრა, რომ მის კვალს ვერავინ მიაგნებს.

ამით იკარგება დიდი ისტორიული განძი, იკარგება კულტურის ნაშთები, ძვირფასი ხელთნაწერები, ისტორიული საბუთები და სხვა ფასოვანი განძეულობა. ეკლესია, სანამ იგი სახელმწიფოსთან იყო გადაქსოვილი, კიდევ შესძლებდა ამის ასე თუ ისე დაცვას. დღეს მისგან განშორებული და მის მფარველობას მოკლებული, იგი ამ მისიას ვერ შეასრულებს,

დღეს ერის ცენტრი სახელმწიფოსა, მისი კულტურის დამცველი სახელმწიფოს ორგანოებია. და ეს ეროვნული ისტორიული განძიც ერს უნდა გადაეცეს დასაცველათ და კულტურულ-ისტორიული მიზნებისთვის.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ სარწმუნოების თავისუფლება გვიკარნახებს, არ შევუერთოთ ამ ისტორიულ—სამლოცველო ხატები — დანარჩენ სიმდიდრეს — მეფეთა, პატრიარქთა შესამოსელს, და სხვა განძეულობას, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ.

პირველ მლოცველთ უნდა დავუტოვოთ, ვინაიდან მათი სარწმუნოების შელახვა, რაც უნდა შეცდარათ მიგვაჩნდეს, სახელმწიფოსთვის მაინც დაუშვებელია, თუ ამას რაიმე განსაკუთრებული საქციელი სამღვდელოებისა არ გამოიწვევს. დანარჩენი განძეულობა კი უნდა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ მოაგროვოს და ისტორიისთვის შეინახოს. ასევე უნდა მოუაროს სახელმწიფომ ისტორიულ ძეგლებს, კოშკებს, ძველ მონასტერთა მხატვრობას, შენობას და სხვ. ამას მოითხოვს ინტერესი კულტურის, ინტერესი ერის, ამას გვიკარნახებს პრინციპი ეკლესიის და სახელმწიფოს გათიშვის.

## პრესა

„საქ. კომუნისტი“ იგინება და იგინება. ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ ბალშევიკებისათვის მაგარი სიტყვა ყველაფერია, რომ ლანძღვა-გინებაში ისინი სპეციალისტებია. ეს მათი თან დაყოლილი სენია და მათი სენიდან განკურნება—უნაყოფო ექიმობაა.

„საქ. კომუნისტს“ არაფერი არ მოსწონს აქაური, ის ყველაფერს და ყოველივეს ებრძვის და რუსეთის წესების შემოღებით ლამობს ჩვენი ქვეყნის გაბედნიერებას.

ამ ხელათ ის ეხება მუშათა მდგომარეობას და ასეთი დიდი საკითხისათვის საკმარისათ მიაჩნია ის შედარებით მცირე ფაქტი, რომელიც მისთვის გადაუცია სანდარიდან ჩამოსულ ერთ მუშათაგანს. სანდარში ამ მუშის გადმოცემით ვინმე თათარს ცხრა მუშა წაუყვანია ყანებში სამუშაოთ. მუშებს თურმე იმდენათ სასტიკათ ეპყრობოდნენ, რომ ზოგი მათგანი გამოპარულა. ზოგი შეიძლება ჯოცხალიც არ იყოს, რადგან სროლა აუტეხეს გამოპარვის დროსო.

რაღა თქმა უნდა, ეს ვიღაც თათარია, მუშებისადმი ასეთი მოპყრობისათვის სასტიკათ უნდა დაისაჯოს. მარა ამისთვის საჭიროა გავიგოთ ამ თათრის გვარი. ამ გვარს კომუნისტი არ აქვეყნებს. და აი, გადმონაცემ ცნობას „კომუნისტის“ ღვარძლიანი მწერლები ასეთ დასკვნას უკეთებენ: „ასეა დაცული მუშების ინტერესები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაშიო“ (№ 20).

თუ „კომუნისტს“ უნდოდა გაეცნო თავის მკითხველისათვის „თუ როგორაა დაცული მუშების ინტერესი საქართველოს რესპუბლიკაში“—ნუ თუ სანდარის თათრის მეტი ვერაფერი იპოვა რა?! ალბათ ამის მეტი სხვა ნაკლი ვერა ნახა რა. რაკი ასეა, ამას ადვილათ შეურიგდებით, მით უმეტეს, რომ იმედია „კომუნისტი“ დაასახელებს სანდარელ თათარს და ასე საშვალებას მისცემს მოტყუებულ მუშებს თავის ინტერესების აღდგენა-დაცვისას.

მარა, იქნება საბჭოთა რუსეთშია მუშების ინტერესები დაცული სამაგალითოდ?

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ „კომუნისტს“ გააცნოს მკითხველ საზოგადოებას, თუ როგორაა დაცული მუშათა ინტერესები საბჭოთა რუსეთში და როცა ჩვენი მუშები შეადარებენ იქაურ და აქაურ მდგომარეობას—მაშინ დაინახავენ სად უკეთ დაცულია მუშათა ინტერესები.

ჩვენ გვინდა ეს მოვალეობა იკისროს „კომუნისტმა“ და თუ ის არ იზამს, მაშინ ჩვენ თვითონ ვიკისრებთ.

## „კომუნისტის“ მკითხველებს

VIII.

ორთითით

ადამიანი თუ მთელი პარტია, შეიძლება სულით და გულით რევოლიუციის მსურველი იყოს. მაგრამ შესაძლოა ისიც, რომ მისი საქმიანობა რეაქციის წისქვილებს აბრუნებდეს. ჩვენ არასოდეს არ შეგვპარვია ეჭვი ლენინის გულწრფელობაში და კეთილ განზრახვებში. ვხედავთ კი, რომ მისი პარტიის პოლიტიკა უფრო რეაქციას ემსახურება, ვიდრე რევოლიუციას. ბალშევიკების ხელით რუსეთში კვდება ის, რაც ბალშევიკებს არ უნდოდათ და არ უნდათ. ისინი ქმნიან ისტორიას თავისი ნებით, მაგრამ დღევანდელ ისტორიულ პირობებში გამოუდისთ ის, რაც მათ ნებაზე არ არის დამოკიდებული.

სურვილით, სუბიექტიურათ ბალშევიკები არიან უდიდესი რევოლიუციონერები, საქმით ობიექტურათ, სურვილებზე დამოუკიდებლათ, ისინი წარმოადგენენ უდიდეს რეაქციონერებს.

ამნაირი თეორია არ ესმის „კომუნისტს“. საწყალი, მგონია, ულიდეროთ დარჩენილა დროებით. ლიდერი აუხსნიდა, რომ თითონ ლენინი სავსებით იზიარებს ამ თეორიას სხვების შესახებ. ის, მაგალითათ, ხშირათ ეუბნება მენშევიკებს,—თქვენ, ვიცი, რევოლიუცია გინდათ, მაგრამ კონტრ-რევოლიუცია გამოდის თქვენი საქმიდანო. სწორედ ამას ვეუბნებით ჩვენ ბალშევიკებს. ამას ქვია სუბიექტიურათ ერთი და ობიექტიურათ სხვა. „კომუნისტი“ თავისი ჭკუით ალბათ ვერ მისწვდება ამ აზრს. მე არ ვსწერ თითონ „კომუნისტისთვის“. წყლის ნაყვას არ ვარ ნაჩვევი.

ჩვენ გვეკითხებოდენ ხოლმე რუსეთში,—დენიკინი გირჩევნიათ თუ ლენინიო? ჩვენ ვუპასუხებდით,—არც ერთი არ უქნია ღმერთს, ანარქიის მეტს ვერაფერს მოგვიტანს ვერც ერთი, ვერც მეორეთქო. დრომ დაგვანახვა, რომ ეს დაფასება სინამდვილეს შეეფერება. გამარჯვებულმა ბალშევიზმა შეიტანა ყველა ქალაქ-სოფლებში, ანარქია და სხვა არაფერი. მათი გაზეთებიდან გადმობეჭდილი ცნობები საუკეთესო საბუთია ამის დასამტკიცებლათ. დენიკინი ვერაფერს ვერ იზამდა ამაზე უარეს. ის დაიწყებდა მუშა-გლეხების ხვრეტას, ბალშევიკებმა დიდი ხანია დაიწყეს ეს. ის გააუქმებდა ყოველნაირ თავისუფლებას, ბალშევიკებმა შესანიშნავათ გააუქმეს ეს. ის დაარღვევდა საწარმოო ძალებს, მოშლიდა ეკონომიურ საძირკველს, ბალშევიკებმა ისე დაარღვიეს და მოშალეს, რომ ვერც ერთი დროის ბურჟუაზიული მთავრობა ვერ შეედრება მათ ამ მხრივ.

მარქსი და ენგელსი ამბობდენ, შეერთებულმა მუშათა კლასმა ხელში უნდა აიღოს პოლიტიკური ძალა უფლება საწარმოო ძალების გასადიდებლათო. ამოწეროს „კომუნისტმა“ ეს ადგილი კომუნისტური მანიფესტიდან და შემოავლოს გარეშემო ხაზები თავისი მკითხველების საყურადღებოთ. შეადაროს მერე საწარმოო ძალების ზრდა ბალშევიკურ რუსეთში და ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მკითხველი გაიგებს მაშინ, რომ რუსეთი წინ დგას მთელ მსოფლიოში... საწარმოო ძალების დაცემა არსად არ ხდება ისეთი სიჩქარით, როგორც ბალშევიკების სამეფოში.

„კომუნისტმა“ უთხრას თავის მკითხველებს რა ხდება კომუნისტურ რუსეთში, მკითხველებს ამითი საშუალება მიეცემათ დაუპირდაპირონ სინამდვილე მარქსის და ენგელსის ნათქვამ-ნაწერებს.

ვიცი, რომ „კომუნისტელები“ ისევ მოიპარავენ ამ მთავარ საკითხს და მიაფუჩეჩებენ, თავსაც ისე მოგვაჩვენებენ თითქოს არ გაუგონიათ და არ იციან, რაშია საქმე. სალიტერატურო ბრძოლაში ისინი გამოდიან ორი თითით. მაგრამ ერთი და იგივე იარაღი არ გამოდგება სხვადასხვა ალაგას. იდეურ ასპარეზზე, გაზეთის ფურცლებზე ის სულ არ არის გამოსადეგი.

არსებითი მხრივ ვერაფერს გახდა „კომუნისტი“ და შეუდგა ჩემ ვინაობაში ჩხრეკას. მკითხველებს ეძახის,—შეხედეთ დენიკინის მომხრე ყოფილაო. ჩემი უკანასკნელი წერილიდან ამოუძვრია ორი თითით და სადღაც გაუპარებია სხვათა შორის ერთი სტრიქონი, იქ ვსწერდი, რომ ხარკოვის ჟურნალი, რომელშიაც მე ვითომ დენიკინს ვემხრობოდი, დაიკეტა დენიკინის განკარგულებით თქო. დენიკინის გაზეთები მე ბალშევიკებისგან მოსყიდულს მეძახდენ. თან მაქვს ზოგიერთი ეს გაზეთები და თუ უნდა „კომუნისტს“, შეუძლია დახედოს ჩემ „შესარცხვენათ“. დავარწმუნებ კი წინდაწინ, რომ მკითხველების თვალში ის აქ ერთხელ კიდევ შეირცხვენს თავს. თითონ ვერ იგრძნობს ამას, რადგან, როგორც ეტყობა, დაკარგული აქვს სირცხვილის გრძნობა. ეს ალბათ ბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობაა მისთვის.

ს. დევდარიანი.

## „ჩექმის ქუსლის და მუშტის მუქარა“

საზავო პირობებით და სიტყვით საქართველოსთან მეგობრული განწყობილებაში მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი რაც დრო გადის, მით უფრო ააშკარავებენ თავის ნამდვილ გულის ნადებს. დღეს საქართველოს შესახებ თერგში, ყუბანში და ბაქოს მიდამოებში ზღაპრულ ამბებს გაიგონებთ. ცოტაა იმის თქმა, რომ საქართველოს სოციალდემოკრატია „სოციალ სოგლაშატელები, დუხანშჩიკები, მოღალატენი და გამყიდველები“ არიან, ასეთ სიტყვიერ აგიტაციის თქვენი ჭირი წაუღია, საქართველოს მუშათა კლასი არასოდეს არ უფრთხოდა „ჭორიკანა სოციალისტებს“, რომელნიც რუსეთის სიბნელის სივრცეზე ამოტივტივდენ, ჯერ თავის შინაურ კულტურას გაუსწორდენ, ინტელიგენცია მოსპეს და „შიმშილის კომუნიზმი“ დააწესეს. ჩვენი პროლეტარიატისათვის სრულიად საშიში არ არის, რა ჭორებს გაავრცელებენ ბაქოში ან კავკავში აქედან გაქცეული „ჯიბგირები“, ან რას დასწერენ „საქართველოს კომუნისტში“ დეზერტირი ვალია ბახთაძე და თენგიზ ჟღენტი, რომელიც რუსეთში გასტროლებზე მიდიოდა და ოდესის მიდამოებიდან ქართველი კომუნისტებისათვის სიმდიდრე მოქონდა. ჩვენ მუშებს კარგათ აქვთ გათვალისწინებული კომუნისტური აგიტაციის შედეგი და ამისთვისაც არის, რომ პროლეტარიატი ფხიზლათ ადევნებს თვალყურს ამ მოღალატეთა მუშაობას, არ სძინავს, როცა ჩვენს გარშემო იარაღს აჟღარუნებენ და სხვის ნებას თავზე გვახვევენ.

მაგრამ სულ სხვაა, როცა სიტყვიერ პროპაგანდას, მომწამვლელ აგიტაციას თან სდევს ერთგვარი სამზადისი, თადარიგი შეიარაღებულ გამოსვლისათვის და ამ მომენტს ჩვენი კომუნისტები უთანხმებენ გარეშე ძალის მოძრაობის მომენტებს, ერთგვარათ „პატიჟებენ“ სხვის ოჯახში მათთვის საყვარელ „რუსულ დაჟანგულ“ ხიშტს. ჩვენს წინ არის მთელი რიგი ბაქოს „კომუნისტისა“, სადაც ამის დასამტკიცებლათ არის მოყვანილი ბევრი პასუხისმგებელ კომუნისტების აზრი და საერთოდ კი გაზეთი ქმნის შთაბეჭდილებას საქართველოს მთავრობის უკანასკნელ დღეებისა, როცა წითელ ჯარს შეუძლია თავისუფლათ „მოპატიჟებით“ შემოვიდეს საქართველოში.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ადერბეიჯანში მყოფი რუსეთის სახელოვანი მეთერთმეტე არმია, რომელსაც მეთაურობს თფილისის სამხედრო სასწავლებლისათვის კარგათ ცნობილი ნიკოლოზის დროის კაპიტანი ლევანდოვსკი (მაგრამ ეხლა კომუნისტი ლევანდოვსკი) სასტიკად დამარცხდა ჩვენთან ბრძოლაში და იძულებული შეიქნენ ზავი ჩამოეგდოთ. მკითხველებს ალბათ ისიც ახსოვთ, რომ წითელ ხიდთან ჩვენი და კომუნისტური საკანტროლო როტები ძთელი თვე იდგნენ და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენი გვარდიელები ან ჯარისკაცები გადასულიყვნენ კომუნისტების მხარეზე, პირიქით, კატეგორიულათ ვამტკიცებ, რომ ერთი წითელი ოფიცერი და რამოდენიმე წითელი არმიელები ჩვენსკენ გადმოვიდნენ. ეს იციან კომუნისტებმა, მით უმეტეს იციან ბაქოში, სადაც ლაზარეთები სავსე იყო ჩვენთან ომში დაჭრილ წითელ არმიელებით და მიუხედავათ ამისა, მაინც აი რას სწერს ბაქოს „კომუნისტი“ თავის 42 ნომერში.

**ვინაიდან უკანასკნელ დღეებში ქართველ ჯარს და წითელ არმიელთა შორის მოხდა დაძმობილება, მთავრობამ გასცა ბრძანება წაიყვანონ ეს ჯარები ფრონტიდან, ხოლო მათ მაგივრათ დააყენეს რაზმი შემდგარი ძველი ჟანდარმებისა, ჩინოვნიკებისა და ნაძირალა ყაჩაღებისაგან“.**

ამას სწერს კომუნისტი, როცა იცის, რომ ჩვენ გვარდიელებთან დაძმობილების შემდეგ კომუნისტებს დასჭირდათ ზღაპრული ენერგიის გამოჩენა, რომ ჯარი არ დარღვეოდათ. მერე ვინ იყვნენ ეს მათ მიერ „ჟანდარმებათ“ და „ნაძირალებათ“ მონათლული რაზმელები? ესენი იყვნენ ფოთელი და შორაპნელი მუშები, რომელნიც „წითელი არმიელთა“ პირისპირ თავისი წითელი დროშით იდგნენ. და მერე ამ მართლა ყაჩაღებს და ნაძირალებს, რომელთაც ჯიბეები სავსე აქვთ ნაპარავი კოვზებით და ჩანგლებით, ნება აქვთ უწოდონ „ჟანდარმები“ და „ნაძირალები“ ჩვენს მუშებს, საქართველოს პროლეტარიატს, რომელსაც არასოდეს არ დაუხრია ძირს თავისი საერთაშორისო ინტერნაციონალური დროშა?

„კომუნისტის“ ამავე ნომერში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: **„თფილისიდან მოსულები გვატყობინებენ, რომ ხალხის განწყობილება საქართველოში ნერვიულია. მთავრობის წინააღმდეგ ამხედრება ყოველ დღე იზრდება, დღედღეზე მოელიან მის ჩამოგდებას.**

**მცხოვრებნი მოუთმენლად მოელიან წითელი ჯარის მოხვლას. გვარდიას და ჯარს შორის დიდი უთანხმოებაა".**

აქედან ჩვენთვის აშკარაა, რომ ყველა ის, რაც კეთდება დღეს საქართველოში კომუნისტების ხელით და რასაც ბ. კიროვი უწოდებს „იდეურ მუშაობას", ეს არის წინასწარი სამზადისი „წითელი ჯარის" „მოპატიჟებისთვის".

მაგრამ ვთქვათ, რომ ყველაფერი ეს უბრალო ცნობაა, კორესპონდენტის მიერ შეცდომით მიწოდებული, როგორც ეს სთქვეს 27 ივნისს თფილისში ვითომდა მომხდარ აჯანყების და მიტინგის დახვრეტის შესახებ კარგი და პატიოსანი, ჩვენ კომუნისტებს ბოლომდის მივყვებით, დავუგდებთ ყურს, მიუხედავათ იმისა, რომ მათ ყოველ ჯიბეში ნაძარცვ კოვზებთან ერთად ყუმბარებიც აქვთ, ჩვენ ამის არ გვეშინია და უნდა განვაცხადოთ, ალბათ არც ერთ თფილისელ, ან თუნდ „პატრიკეთელ"*) კომუნისტს იქვი ვერ შეეპარება ბუდუ მდივანის კომუნისტობაში. და აი ამ ბუდუ მდივანმა, რომელიც ორი წელია გაიძახის: „Я не буду Буду, если въ Тифлисѣ комиссаромъ не буду", ბაქოში „მუშათა, მატროსთა, ასკერთა და წითელ არმიელთა" დეპუტატების საბჭოს კრებაზე განაცხადა: „თქვენ აქ ასე მეგობრულად და სიხარულით შეხვდით წითელ ჯარს, თქვენ მოიპატიჟეთ ის, რომ დაგეხმარონ აქ და ამით გამოთქვით ნამდვილი ნებისყოფა რევოლიუციონური გზით და ეს არის ხალხის ნამდვილი სურვილი.

**საქართველოს გლეხებიც და მუშებიც, რომელნიც არ არიან გასულელებულნი მენშევიკური მთავრობით, შეიძლება მალე აიღებენ მაგალითს ადერბეიჯანის რესპუბლიკისაგან და ჩვენ მოვესწრებით ახალ 27 აპრილს როცა ქართველი გლეხები და მუშები ასევე დაუძახებენ საქართველოში წითელ ჯარს."**)

ქართველი კომუნისტები ბუდუ მდივნის სიტყვაზე უარს ვერ იტყვიან, ის მათი ლიდერია. მაშ, რაშია საქმე, რა სურთ მათ საქართველოდან, მართლა ზავია ეს, თუ ამ ზავის საშუალებით გვიმზადებენ აფეთქებას და ჩექმის ქუსლით და მუშტით გვემუქრებიან.

ქართველი კომუნისტები ვერ მოისვენებენ. მათ მეტად დიდი ვალები აქვთ რუსეთიდან წამოღებული და ამისთვის დიდი ხანია გასცეს თამასუქები საქართველოს კომუნისტური რესპუბლიკის სახელით. კიდევ მეტი. მოსკოვის მთავრობამ დეკემბერში და იანვარში ქართველ კომუნისტებს მილიონები მისცა სოჭაში აჯანყების მოსაწყობათ და ამ ფულებით ფილიპე მახარაძე და ძმანი მათნი საქართველოს აფეთქებდნენ, ბოლო სადაც საბრძოლველი იყო, იქ მათ ცხვირი არ გამოუყვიათ. მათი წარმომადგენლები მოვიდნენ ჩერნომორიაში მხოლოდ მაშინ, როცა ტუაპსე უკვე აღებული იყო. და ყველა ამ გაფლანგულ ფულების ნაცვლად რა უნდა გაუგზავნონ საჩუქრათ მოსკოვს ქართველმა კომუნისტებმა თუ არა მთელი სიმდიდრე საქართველოსა, როგორც ეს ჩაიდინეს მათ ადერბეიჯანში.

„Умерли меньшевики въ Россіи, умрутъ здѣсь. Надо только ускорить ихъ агонію", სწერს „კომუნისტი თავის 45 ნომერში და ყველა ამიდან ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: კომუნისტები აფეთქებისთვის ემზადებიან და ცდილობენ გარეშე ძალის დახმარებით საქართველოს ნანგრევებზე ააშენონ საბჭოთა საქართველო". ამ შემთხვევაში საქართველოს პროლეტარიატის პასუხი ერთი იქნება: **ბრძოლა შეუბრალებელი დაუნდობელი.** ჩვენ არ ვართ რუსეთის იდეალისტი ინტელიგენცია ან გაუბედავი საშუალო წრე, რომელიც ლოცვით და პირჯვრის წერით მიდის სახრჩობელაზე, ჩვენი ასე ადვილათ სახრჩობელებზე წაყვანა, როგორც პანკრატოვს მიჰყავს თოკით მრავალი ხალხი, შეუძლებელია. ვინც მახვილს მოგვიქნევს, მას მახვილითვე გავგმირავთ. ბრძოლა საქართველოს პროლეტარიატთან და „ბელაგვარდეისკაია გადინასთან", ან „ვოშებოიკით" ტილების წინააღმდეგ, ერთი და იგივე არ არის.

საქართველოს პროლეტარიატი არ მოერიდება მსხვერპლს თავის ბრწყინვალე იდეალებისთვის ბრძოლაში, საერთაშორისო ინტერნაციონალური დროშის გადარჩენისათვის. **ვინ.**

## საბჭოთა რუსეთში
(გაზეთებიდან)

**სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურენი და საბჭოთა მთავრობა.** ხარკოვის „კომუნისტში" (№ 124) მოთავსებულია ქალაქის უპარტიო მუშათა კონფერენციის ანგარიში. ანგარიშს წამძღვარებული აქვს შემდეგი ლოზუნგი: „ქალაქის უპარტიო მუშათა კონფერენცია მოუწოდებს ხარკოვის პროლეტარიატს სოფლისაკენ პურის მოსაპოვებლათ, ღარიბ გლეხობის შესაკავშირებლათ და შლიახტასთან საბრძოლველად".

გაზეთის გადმოცემით, კონფერენციაზე შემდეგი ამბავი მომხდარა: „პრეზიდიუმის არჩევის დროს მენშევიკების ერთმა ჯგუფმა, რომელთაც უკმაყოფილო იყო იმითი, რომ პრეზიდიუმში არც ერთი მენშევიკი არ იქნა არჩეული, მოითხოვა პრეზიდიუმში შეეყვანათ სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელი. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სავაჭრო-სამრეწველო კავშირს ისე კარგათ, ისე წესიერად უჭირავს თავი საბჭოთა მთავრობის მიმართ, რომ საეჭვოდ მიაჩნია მოისურვოს პრეზიდიუმში არჩეულმა პირებმა ამგვარი კავშირის წარმომადგენლებთან ერთად ყოფნაო".

და ასე მენშევიკების წინადადება, რა თქმა უნდა არ, გავიდა, რითაც დამტკიცდა სავაჭრო სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირის არა კეთილსაიმედობა...

**უკრაინის სოფელი ჩამორჩენილია, ველიკოროსიის კი — განვითარებული.** უპარტიო მუშათა კონფერენციაზე ხარკოვში ვალინინმა, რომელსაც გაზეთი „კომუნისტი" (№ 124) სრულიად რუსეთის სტაროსტას უწოდებს, სხვათა შორის, შემდეგი სთქვა: „უკრაინის სოფლების ჩამოვლამ დამარწმუნა, რომ უკრაინის სოფლები დიდათ ჩამორჩენილი არიან ველიკოროსიის სოფლებთან შედარებით. უპირველესად ყოვლისა უკრაინის გლეხს სრულიად არ ემჩნევა იდეალიზმის ნასახიც კი. სოფელი განწყობილია უაღრესად რეალისტურად. ის მხოლოდ სარგებლიანობას ეძებს თავისთვის. ამიტომ სოფელი არ ენდობა არც ერთ მთავრობას და ოცნებობს ისეთ წყობილებაზე, რომელიც მისგან არაფერს მოითხოვს,—პირიქით, სოფელს მისცემს რაიმე რეალურ სარგებლობას. გლეხებს შეგნებული არ აქვთ პოლონეთის საშიშროება და რომ ეს შევაგნებინოთ, საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა. აუცილებელია, რათაც უნდა დაგვიჯდეს, სოფელი დაუკავშიროთ საბჭოთა მთავრობას, აუცილებლათ საჭიროა ვაიძულოთ სოფელი აზროვნობდეს სახელმწიფოებრივათ, ამისთვის კი საჭიროა გადაჭრილი ზომები სოფლად პურის მონოპოლიის, შრომის ბეგარის და სამხედრო მობილიზაციის ჩასატარებლათ".

**პოლონეთთან ომს ხანგრძლივი ხასიათი აქვს.** რაკოვსკი ამბობს: „როგორც არა ერთხელ აღმინიშნავს სხვადასხვა კრებებზე, პოლონეთთან ომი ხანგრძლივ ხასიათს ღებულობს. ჩვენი მტერი კარგათ მომზადებული აღმოჩნდა როგორც ორგანიზაციულად, ისე ტეხნიკურათ და თუ პოლონეთის ჯარები ბრძოლაში და სულიერი განწყობილებით ჩამორჩებიან დენიკინის ჯარს, სამაგიეროთ ტეხნიკური მოწყობილობით ბევრათ სჯობნიან მას. მე საჭიროდ მიმაჩნია ეს ფაქტი ერთხელ კიდევ დავადასტურო. ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ მუშათა კლასის შეგნება შევაჩვიოთ იმ აზრს, თითქოს მტერი სუსტია. ჩვენ თავიდანვე სერიოზულად ვუცქეროდით პოლონეთთან ომს. მე მსურს უპარტიო მუშათა კონფერენციას ავუხსნა, თუ რისთვის მიგვაჩნდა ჩვენ ეს ომი ხანგრძლივათ. ამ კითხვის გასათვალისწინებლათ საჭიროა გავეცნოთ საერთაშორისო მდგომარეობას. უკრაინის საბჭოთა ყრილობაზე მე ვამბობდი, რომ პოლონეთის შემოტევა არის ახალი ცდა საერთაშორისო კაპიტალისა საბჭოთა მთავრობის მოსადრეკათ... („კომუნისტი" № 124).

**რა ხასიათისაა რუსეთის რევოლიუცია?** ხარკოვის უპარტიო მუშათა კონფერენციაზე რაკოვსკიმ თავის სიტყვაში, სხვათა შორის, განაცხადა: „უკრაინის მუშებში ბევრი ისეთი პირები მოიპოვებიან, რომელნიც თავს და აგრეთვე მთელ მუშათა კლასს ჰსახავენ მეტად სუსტ ძალათ, რომელსაც შეეძლებოდეს ბურჟუაზიული ბატონობის მოსპობა. და მართლაც, შესაძლებელია რუსი და უკრაინელი მუშა ნაკლებათ იყოს მომზადებული სოციალისტური რევოლიუციისთვის, ვიდრე გერმანიის, საფრანგეთის და სხვა დასავლეთის მოწინავე ქვეყნების მუშები, მაგრამ ისტორიული მდგომარეობა ისეთი შეიქნა, რომ სამოქალაქო ომის და სოციალისტური რევოლიუციის დროშა პირველად აღმართა სწორედ რუსის მუშათა კლასმა. ჯერ კიდევ ოცდა-ათი წლის წინად პლეხანოვმა სთქვა, რომ რუსეთის პოლიტიკური თავისუფლება დამყარდება მხოლოდ მუშათა კლასის დროშის ქვეშო".

პლეხანოვს არასოდეს არ უთქვამს, რომ რუსეთის მუშა და გლეხი დაიწყებს საქვეყნო რევოლიუციასო. ლენინსაც რეაქციონურ ოცნებათ მიაჩნდა ეს აზრი, როცა ის სოციალ-დემოკრატი იყო. პარიზის საერთაშორისო სოციალისტურ კრებაზე პლეხანოვი შეეხო მარტო რუსეთის რევოლიუციას. სთქვა, რომ ის გაიმარჯვებს მუშათა დროშის ქვეშო. ბალშევიკებს ხშირათ მოჰყავსთ პლეხანოვის სიტყვები ჩვენ შესარცხვენათ, მაგრამ ამით ერთხელ კიდევ ირცხვენენ თავს. რუსეთის რევოლიუცია ლენინის მეთაურობით ოქტომბერში დაწყებული დამარცხდა, რადგან შეგნებული მუშათა კლასის მაგივრათ მის მამოძრავებელ ძალათ გადაიქცა ჩამორჩენილი და მოუთმენელი ხალხი—ჯარი და გლეხობა. სოციალიზმი ამ ხალხს აინტერესებდა იმდენათ, რამდენადაც ჩვენც და ბალშევიკებსაც აინტერესებს, რომელ საათზე საუზმობდა, ვთქვათ, ჩინეთის ხელმწიფე სეთვრამეტე საუკუნეში.

**ვინ შეაფარა თავი საბჭოთა მთავრობას?** „საკითხი საბჭოთა მოსამსახურეების შესახებ ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხია. ასი და ათასი ადამიანები, რომლებიც გულგრილათ ეკიდებიან საბჭოთა მთავრობას, ხშირად აშკარათ ებრძვიან კიდეც,—ეს ადამიანები შეძვრენ საბჭოთა ახალგაზრდა დაწესებულებებში და ხელს უშლიან ნაყოფიერ მუშაობას. შეუმჩნევლათ, მაგრამ შეუჩერებლათ გაჰყავთ მათ თავიანთი პოლიტიკა და ანელებენ საბჭოთა მუშაობას მაშინ, როდესაც გარეშე მტრებთან და შინაურ არევ-დარევასთან საბრძოლველათ საჭიროა მშრომელთა ყველა ძალების მოკრება, საჭიროა უდიდესი ნება და მისწრაფება მოწესრიგებულ შრომის საწარმოებლათ—გმირობის გამოსაჩენათ. ისინი სხდიან დაწესებულებებში იღებენ „მსუქან ულუფას" და საბჭოთა მოსამსახურის სახელით ახრჩობენ შეინარჩუნონ მდიდრული ოთახები მშვენიერი ავეჯეულობით, ნოხებითა და წიგნებით. ისინი 6 საათის დაწესებულებებში „არაფრის კეთების" შემდეგ მიდიან თავიანთ ბინაზე და თავიანთ ნათესავებს შორის დასცინიან „სისუსტის" გამო საბჭოთა მთავრობას, გულმოდგინეთ იჭერენ ყოველგვარ სიტყვას, ყოველგვარ ცნობას, რომელიც მათის აზრით, საბჭოთა მთავრობის „წასვლას" მოწმობს. ისინი მზათ არიან თაყვანი სცენ პოლონელებს, ვრანგელს, ისინი ელიან პეტლიურას; დაბოლოს, მათ ცამდე აჰყავთ მახნოს გმირობა; ისინი ვერ ჰფარავენ თავიანთ სიხარულს, ფრანგების, ინგლისელებისა და ნემეცების მოქმედების შესახებ; ისინი სიამოვნებით შეურიგდებიან სენევალის შავკანიანებსაც კი, ოღონდ თავიდან მოაცილონ მათ მიერ ათვალისწუნებული „მოსული ხამი". („კომუნისტი" № 134).

**საპყრობილეთა მცხოვრებნი „სოციალისტურ" რუსეთში.**

**სამკითხველო და სკოლა საპყრობილეში. ხერსონი.** 1 ივნისი. ხერსონის საპყრობილეში გაიხსნა სამკითხველო და წერა-კითხვის პირველი საფეხურის სკოლა. („კომუნ." № 124).

დღემდე ბალშევიკები ამბობენ და სწერენ, რომ ციხეში გამომწყვდეული გვყავს მხოლოდ ბურჟუაზიაო. თუ ეს მართალია—ვისთვინ ხსნიან წერა-კითხვის პირველი საფეხურის სკოლებს? წერა-კითხვის უცოდინარი ბურჟუაზია არ არსებობს. მაშასადამე ბალშევიკებს გამომწყვდეული ჰყავთ საპყრობილეებში რუსი მუშები და გლეხები. „Укажите хоть одинъ уголок, гдѣ бы русскій мужик не стоналъ". გმინავდა და კვნესდა რუსი მუშა და გლეხი ნეკრასოვის დროს თვითმპყრობელობის უღელ ქვეშ!.. ასევე გმინავს ის დღეს მუშათა და გლეხთა მთავრობის" უღელ ქვეშ...

**ვინ მოჰკლა ხან-ხოელი?** კავკავის „კომუნისტში" (25 ივნისი) შემდეგი სწერია: „კომუნისტის" მე-64 ნომერში თფილისის გაზეთებიდან გადმობეჭდილ ხან-ხოელის მოკვლის შესახებ ცნობაში სამწუხარო შეცდომა შეგვეპარა. დაუკვირებლობის გამო არ გასწორებულა აღნიშნული ტერრორის აქტის ნაციონალისტების მიერ გაკეთებული კვალიფიკაცია. სიტყვები—„მოიმოქმედეს რა საზიზღარი საქმე, ბოროტ-გამზრახველები გაიქცენ", შეცვლილი უნდა იქნეს სიტყვებით: „გადაუხადეს რა ჯალათს, გმირებმა თავს უშველეს".

ასე რომ ხან-ხოელი თფილისში მოუკლავთ ბალშევიკების ტერორისტებს.

## „წითელ" აზერბეიჯანში

„სახალხო საქმეში" ბ. ერმილე ხავთასი ბაქოში მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს მკითხველებს და, სხვათა შორის, შემდეგს გადმოგვცემს:

„მიტინგზე გამოვიდა ერთი ჩია ტანის კომუნისტი პროპაგანდისტი, ეროვნებით ებრაელი და აურაცხელ აუდიტორიის წინაშე დაიწყო ლაპარაკი ექვესიაზე.

— ამხანაგებო!—მიმართა მან ხალხს: თქვენ იცით, რომ საბჭოთა მთავრობის ბურჯნი და სოციალისტურ წყობილების გამჭედნი არიან წითელ-არმიელები, რომელნიც მხსნელად მოგვევლინენ ადერბეიჯანში; საბჭოთა მთავრობაც ვალდებულია ყოველის მხრივ ღირსეული პატრონობა გაუწიოს მათ ამავე დროს-კი მათთვის ცოტად თუ ბევრად შესაფერი ბინებიც არ მოგვეპოვება და მეტი ნაწილი საბჭოთა მთავრობის ამ ბურჯებისა ღამეებს არა მათ საკადრის ბინებზე ატარებს... ნუ თუ მოსათმენია ასეთი მდგომარეობა? ნუ თუ დასაშვებია, რომ ჩვენს ქალაქში აურაცხელი დიდებული ბინები იყოს, სრულიად უსარგებლოდ კარებ-ჩაკეტილი და წითელარმიელებისათვის კი დასადგომი არ გვეშოვებოდეს?! აგერ მაგალითისთვის მიუთითებ მართლმადიდებელთა დიდებულ ხუროთ-მოძღვრების ტაძარზე, რომელიც ქალაქის შუაგულშია გამოჭიმული და თავის სიდიდითა და მოსენთებლობით იპყრობს გამვლელ-გამომვლელთა შურიან ყურადღებას. იქ თამამად შეიძლება მოვათავსოთ თითქმის მთელი ბათალიონი... მორწმუნეთა გრძნობა რომ არ შეილახოს, შეიძლება გუმბათებზე ჯვრები მოვხსნათ... ამრიგათ, მე წინადადება შემომაქვს—მართლმადიდებელთა სობოროში დავაბინაოთ ჩვენი სახელოვანი ძლევამოსილი წითელარმიელები...

გაიმართა ამ საგანზე დიდი მსჯელობა და კამათი, და საკითხი თითქმის გადაწყდა კიდეც დადებითად; მაგრამ აი, სიტყვას თხოულობს ერთი ახალგაზრდა მუსულმანი—კომუნისტი, დაბალი და ჯიჯგვი ტანისა.

— ამხანაგებო!—ამბობს იგი რუსულად, მხოლოდ დიდის თათრულის კილოკავით:—რაც ჩვენმა პირველმა ამხანაგმა სთქვა ამ საგანზე, ეს სრული ჭეშმარიტებაა. მართლაც, ვისთვის და რისთვის არის საჭირო მართლმადიდებელთა ტაძრის ეს საუცხოო უზარმაზარი შენობა? რა სარგებლობა მოაქვს ამ შენობას ხალხისთვის, თუ საჭიროების დროს მას ვერ მოვიხმართ?! მე სავსებით ვეთანხმები ამ საკითხში ჩვენს პირველ ამხანაგ-ორატორს, მხოლოდ მინდა უფრო გავაფართოვო ამ საკითხის ჩარჩო. პირველ ყოვლისა მე მოვითხოვ, რომ მართლმადიდებელთა ტაძარში დავაბინავოთ ჩვენი სახელოვანი ძლევამოსილი წითელარმიელები. შემდეგ, საჭიროა ჩვენ მათზე სხვა მხრივაც ვიზრუნოთ,—საჭიროა მათ ცალკე აბანოებიც გავუმართოთ. ამისთვის კი მუსულმანთა მეჩეთები სწორედ შესაფერია: თითქოს საგანგებოდ აბანოების გასამართავად არისო აშენებული; მაშასადამე, მე მოვითხოვ, რომ ჩვენი, მუსულმანთა მეჩეთები, გადავაკეთოთ აბანოებად წითელ არმიელებისათვის...

შემდეგ თქვენ უკვე მოგეხსენებათ, რომ ბაქო საშინელ სიბინძურის მორევრევში იხრჩობა. ჩვენი წითელ არმიელები კი სწორედ ღირსნი არიან იმისი, რომ ვიზრუნოთ მათის სანიტარულად მოწყობისათვის. თქვენ, ალბად, უკვე მოგეხსენებათ, რომ ბაქოში არსებობს ებრაელთა ორი საუცხოო გეგმის სინაგოგა და სამი სამლოცველო სახლი. ეს შენობებიც მოსენთებულია სწორედ ერთგვარი მოთხოვნილებისათვის, და ჩვენც უნდა გამოვიყენოთ იგი წითელ არმიელთა საჭიროებისათვის. ამნაირად, ჩემი წინადადება კონკრეტიულად ასეთია: 1) მართლმადიდებელთა ტაძარში დავაბინავოთ წითელ არმიელები; 2) მუსულმანთა მეჩეთები ეხლავე გადავაკეთოთ მათთვის აბანოებად და 3) ებრაელთა სინაგოგები და სამლოცველო სახლები ეხლავე გადავაკეთოთ ფეხის ადგილებად საგანგებოდ წითელ არმიელთათვის...

ამით დაათავა თავისი სიტყვა მუსულმანმა კომუნისტმა. ხალხში უხერხული ჩოჩქოლი და ჩუმი მითქმა-მოთქმა შეიქნა. ამ ორატორის სარკასტიულმა სიტყვამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. წინადადების ავტორი, ებრაელი კომუნისტი, ეხლა თავის ქერქში ველარა გრძნობდა თავს, ენა დაება, გაშეშდა. აქა-იქ გაუბედავი ფრუტუნი გაისმა. ყველასათვის აშკარა შეიქნა მიზანი მუსულმან-ორატორის გამოსვლისა,—მას უქებდნენ ასე ოსტიტურის მოხერხებით გადარტყმულ მათრახებსა და ქარაგმებს...

ბოლოს ამ წინადადებას ის შედეგი მოჰყვა, რომ... კითხვა წესრიგიდან მოიხსნა, საგანი ჩაიფარცხა და მიიჩქმალა.

ამრიგად, ქრისტიანთა ეკლესია-ტაძრები, მუსულმანთა მეჩეთები და ებრაელთა სინაგოგები ხელუხლებლები გადარჩნენ"...

## ბათომი

ირაკლი წერეთელი ბათომიდან საზღვარ გარეთ გაემგზავრა.

— საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგემ ბანკის რწმუნებული გურამოვი რუსეთის სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების შენობის მისაღებად ბათომში გაგზავნა.

— თანახმად შრომის მინისტრის განკარგულებისა თფილისის შრომის კომისარი ელბაქიძე ბათომის შრომის განყოფილების საქმეების ინგლისის სარდლობისაგან მისაღებად ბათომში გაემგზავრა. ამასთანავე ელბაქიძეს ბათომის შრომის კომისრის კანცელარიის მოწყობა მიენდო.

— გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებით ბათომში გაიგზავნა ინჟ. გვარამაძე, რომელსაც ბათომის ნავთსადგურის, ნავთსადგურის სამმართველოს საქმეების და აგრეთვე გზათა უწყების ყველა წარმოებათა და დაწესებულებათა მიღება დაევალა. ამასთანავე ბათომში გაემგზავრა რესპუბლიკის ნავთსადგურების სამმართველოს უფროსი ინჟენერი მამაცაშვილი და შარა-გზების სამმართველოს წარმომადგენელი ანდრონიკაშვილი.

— დაიწყო კეროსინის სადგურების საქართველოს მმართველობის ხელში გადაცემა.

**ბათომი.** ბრიტანეთის მმართველობის განკარგულებით მაიორმა ნორმანმა ბათომის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის ასრულებას თავი დაანება. საქართველოს მართველობის განკარგულებით ბათომის ქალაქის თავის მოვალეობის ასრულებას რ. ჯავახოვი შეუდგა.

## ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ

საქართველოს მხედარნო! ყველა ქართველი მოქალაქის გული ბედნიერების გრძნობითაა დღეს აღვსილი; ხოლო განსაკუთრებულ ბედნიერებას უნდა თქვენ გრძნობდეთ, ვინაიდან თქვენა ხართ არა მარტო მოწამე, არამედ უმთავრესი მონაწილე და მიზეზი იმ ბრწყინვალე ხანისა, რომელიც 7 ივლისიდან დაიწყება საქართველოს ისტორიაში. ამ დიდ დღეს ქართველი ერის დაკოდილი გული გამთელდა. საქართველო გამთლიანდა; ორი წლის ბრძოლისა და ოცნების საგანი სინამდვილეთ იქცა—ბათომი და მისი ოლქი დაუბრუნდა საქართველოს. უკვე 2 წელზე მეტია, რაც ჩვენი რესპუბლიკის გარეშე და შინაურმა მტერებმა ხელიხელს მისცეს და ჯოჯოხეთურის ენერგიით ეწეოდნენ ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ. მათი მიზანი იყო ჩამოეგლიჯათ საქართველოსაგან მისი უძვირფასესი ნაწილი—ბათომის ოლქი და მით რესპუბლიკისათვის განუკურნელი ჭრილობა მიეყენებინათ. ყოველთვის, როდესაც თქვენ ამ ოლქს გარეშე მტრიდან იცავდით, შინაური მოღალატენი ზურგში გესხმოდნენ, ამბოხებას გიწყობდენ, შინაურ ფრონტსა ქმნიდენ და მით გარეშე მტერს ეხმარებოდენ. გაშმაგებული ებრძოდენ ისინი ჩვენს რესპუბლიკას მთელი ამ ხნის განმავლობაში. აგერ ახლა აგვიფეთქეს ოლქთან შემაერთებელი რკინის გზის ხიდი. მოღალატეებს არც ეხლა სძინავთ. სულ კიდევ სამიოდე კვირის წინ საქართველოს დედა ქალაქ თფილისში დასტამბეს ამ მუხანათებმა და ბათომს გაგზავნეს ფურცლები, რომელშიაც საქართველოს დემოკრატიას იმპერიალისტებათ აცხადებდენ და ჩვენ მოძმე აჭარლებს იარაღისაკენ მოიწოდებდენ, რათა მათ არ შეეშვათ ოლქში საქართველოს მთავრობა და მისი მხედრობა და თვითონ იარაღით ხელში ესხმოდენ ჩვენ სანაპირო და მოწინავე რაზმებს და ყველა ამას ქართველი ერის გარეწარნი აწყობდენ და აწყობენ უცხოეთიდან შემოტანილი ფულითა და ხარჯით, მაგრამ ფუჭი გამოდგა გარეშე მტრის აფთარი ბრძოლა და შინაურის მუხანათური ღალატი. ორივენი დამარცხდენ ქართველი ხალხის მიერ და ამ გამარჯვებაში უმთავრესი წვლილი თქვენ გიდევთ, საქართველოს მხედარნო. მართალია, ამ უკანასკნელ დღეებში ბათომის ოლქის ძალით აღება არ დაგვჭირდა, მაგრამ ის თქვენ წინანდელი ბრძოლით და სხვა ფრონტებზე გამარჯვებით მოიპოვეთ. დიდი სახელმწიფონი, რომელთაც ბათომი ეჭირათ ამ უკანასკნელ დროს და რომელნიც ჩვენ სიმტკიცესა და ძლიერებაში იჭვიანობდნენ, უკანასკნელ თვეების განმავლობაში თქვენის მეოხებით გაიცნეს, თუ რა ყოფილა პატარა საქართველო, თუ როგორი თავგანწირული გმირობით იცავდა და დაიცვა ჯარმა და გვარდიამ მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. თქვენ დაუმტკიცეთ მთელ ქვეყანას, რომ საქართველოს დემოკრატიას შეუძლია საკუთარი თავითა და მკლავით გაუძღვეს თავის სახელმწიფოებრივ საქმეებს. ურწმუნონი დარწმუნდენ, მეგობარნი გამხნევდენ; მტერმა, ორგულმა ქედი მოიხარა და ამგვარათ საქართველომ თავისი გაიტანა.

თქვენ მოუპოვეთ საქართველოს უძლიერეს სახელმწიფოთა პატივი და მეგობრობა და ამ სახელმწიფოებმა თავიანთი დროშა თავაზიანათ ჩამოუშვეს და მის ალაგას ბათომის ციხე-სიმაგრეებზე საქართველოს დროშა აფრიალდა.

თქვენ, თითეულ ქართველ მხედარს, რომელიც ამ უკანასკნელ თვეებში იარაღში ზიხართ, სიამაყით შეგიძლიათ სთქვათ და თქვენს შვილებსა და შთამომავლობას გადასცეთ, რომ ბათომის შემოერთების დროს რესპუბლიკის მხედრობაში იყავით გაწვეული. ყველა თქვენგანის წვლილია შეტანილი ამ დიად საქმეში.

რესპუბლიკის მთავრობის სახელით გილოცავთ ამ დიად და ბრწყინვალე გამარჯვებას. ხოლო თქვენის სახელით მთავრობას და მთელ საქართველოს ხალხს გადაჰრით მოვახსენებ, რომ ბათომი და მისი ოლქი უკანასკნელათ და სამუდამოთ დაუბრუნდა საქართველოს, რომ ჯარი და გვარდია საზეიმოთა და საქვეყნოთ აცხადებს, რომ რესპუბლიკის თავისუფლება და დამოუკიდებლობა ამიერიდან ურყევია, რომ საქართველოს დემოკრატიის ორგულნი ველარ გაიხარებენ ვერც გარეთ და ველარც შიგნით, რომ ყველა ამის თავდები თქვენა ხართ.

ეს ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ნაწილებში.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება
12 ივლისი.

**ბათომი.** სოჭის ოლქში შიმშილია. ტრანსპორტი საბოლოოდ დაიშალა. გლეხები არავითარ ფულზე არ აძლევენ პურს. ბალშევიკების ადგილობრივი კომიტეტი გლეხებს მიტინგებზე იწვევს იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც ეკონომიურ დაშლის წინააღმდეგ ბრძოლასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ამ მიტინგებზე მხოლოდ ათი არა-კომუნისტი თუ მოვა აურაცხელ საბჭოთა სპეკულიანტებს გარდა. ამასთანავე ძველ გამოცდილ კოოპერატორების დევნა დაიწყო. პოპულიარული კოოპერატორი ფილეევი დატყვევებულია. ტუაპსეს და სოჭის შორის დამოკიდებულება შეწყვეტილია. 50 წლამდის გამოცხადებულია შრომის ბეგარა, მათ შორის უცხოელებისაც.

**ლონდონი.** „ტაიმსი" იუწყება, რომ კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობების თანახმად ნაციონალისტების პარლამენტს გადაუწყვეტია უკანასკნელ სისხლის წვეთამდე წინააღმდეგობა. ინგლისი გამოცხადებულია ოსმალეთის მტრად დამად ფერიდ ფაშა და მისი ამხანაგები კი უცხოელების მონებად.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ სამხედრო სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობებით თანხმად თავრიზიდან გაიყვანეს ინდოელების რაზმი, რომელმაც სამხრეთისაკენ დაიხია.

**პარიზი.** „ტანი" იუწყება, რომ დეპუტატთა პალატაში აღძრულია საკითხი ელზას-ლორენში ავტონომიის გამოცხადების შესახებ.

**ბერნი.** სამხრეთ-სლავიანურ კაბინეტმა უთანხმოების გამო, რომელიც შინაურ პოლიტიკის საკითხების გარშემო დაიბადა, გადადგომა გადასწყვიტა.

**პარიზი.** დამად-ფერიდ ფაშამ ოსმალეთის სახელით ოფიციალური განცხადება გააკეთა: დიდმა ვეზირმა განაცხადა, რომ ოსმალეთი საკითხს ფრაკიის სმირნის და აგრეთვე სრუტეების შესახებ მიუღებლად სთვლის. ოსმალეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეურიგდეს სრუტეებზე საერთაშორისო საკონტროლო კომისიის დაწესებას, თუ ოსმალეთი ამ კომისიაში თანასწორ უფლებიან წევრად იქნება წარმოდგენილი.

**რომი.** „იდეა ნაციონალი" გადმოგვცემს, რომ ხალხთა ლიგამ დაადგინა მომავლში აღარ განიხილოს სპარსეთის საკითხი იმიტომ, რომ სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა არ დაუცადა რა ლიგის გარდაწყვეტილებას, თვითონ დამოუკიდებლად გამართა ჩიჩერინთან პირდაპირი მოლაპარაკება სპარსეთის ტერიტორიის ბალშევიკების ძალებისაგან გაწმენდის შესახებ.

**ლონდონი.** „დეილი ტელეგრაფი" იტყობინება, რომ ბალშევიკებმა, რომლებიც ფინლიანდიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას აწარმოებდენ დორპატში, ფინლიანდიის მოთხოვნილება წარუდგინეს: იცნოს ის სახელმწიფო სესხი, რომელიც ძველმა რუსეთის მთავრობამ აიღო. ბალშევიკები მოითხოვენ აგრეთვე მიიღოს ფინლიანდიამ მონაწილეობა თუსეთის იმ სამხედრო ხარჯების დაფარვაში, რომელიც მის რუსეთიდან ჩამოშორებამდე იყო გაწეული.

## დეპეშები
(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)
9 ივლისი.

**ფრანგული ცნობები.**

**შაქრის წარმოება**

შაქრის წარმოების ფაბრიკანტთა სინდიკატმა ჭარხლით დათესილ მიწათა რაოდენობის ჩვეულებრივი ანკეტა მოახდინა. 63 ფაბრიკამ უპასუხა, რომ ჭარხალი შარშანდელზე წელს 30—40% მეტია დათესილიო.

**ნაციონალისტთა ჯარი**

საბერძნეთის ჩრდილოეთ რაზმის წინააღმდეგ გაგზავნილი ნაციონალისტთა ჯარი დაახლოვებით 20,000 კაცამდე იყო. აქედან მხოლოთ 4—5 ათასმა შესძლო ბრუსის მიმართულებით გასვლა. ამ ჯარის სამხედრო მასალა ხელში ჩაუვარდა ბერძნებს.

**გერმანიის განიარაღება.**

ოფიციალურათ იუწყებიან: უმაღლესმა საბჭომ გერმანიას 6 თვის ვადა მისცა განიარაღებისათვის და მთავრობის ჯარის შესამცირებლად.

**ბრუსას აღება ბერძნების მიერ.**

საფრანგეთის პრესა იუწყება ბერძნების მიერ ბრუსას აღების შესახებ.

**ინგლისი და რუსეთი.**

პტი ჟურნალის ლონდონელ კორესპონდენტის ცნობით, საბჭოთა მთავრობამ აზრი გამოსთქვა დაიწყოს მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან კომერციულ დამოკიდებულების აღსადგენათ და მიიღოს ინგლისის პირობები, რომელიც კრასინს წარედგინა. ეს პირობები შეიცავს: ინგლისის ტყვეების დაუყონებლივ დაბრუნებას ინგლისის წინააღმდეგ პროპაგანდის შეწყვეტასა და ზოგიერთ ვალების აღიარებას.

**რუსეთ-პოლონეთის საკითხი.**

შაბათს კონფერენციის სხდომამდე შესდგება უმაღლესი საბჭოს სხდომა რუსეთ-პოლონეთის საკითხის განსახილველად.

**ოსმალეთის საკითხი სპას კონფერენციაზე.**

უმაღლესმა საბჭომ, რომელიც 8 ივლისს სპაში ვენიზელოსის თანადასწრებით შეიკრიბა დაადგინა არავითარი დათმობა არ მოუხდინოს ოსმალეთს გარდა უმნიშვნელო საკითხებისა, რომელიც საერთაშორისო კონტროლს შეეხება.

**ბალშევიკების ცნობები.**

**გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი.**

**ნაუენი.** 8 ივლისი. რურის ოლქში ნახშირის დამუშავება შემცირდა სურსათის სიმცირისა და მუშათა ხელფასის დაკლების გამო.

**მუსტაფა ქემალი.**

**ოდესა,** 7 ივლისი. მუსტაფა ქემალმა მანიფესტი გამოსცა, სადაც მცხოვრებთ მოუწოდებს იბრძოლონ ოსმალეთის დამოუკიდებლობის დასაცავათ.

**უნგრეთის კომუნისტების საქმე.**

**ბუდაპეშტი.** 9/7 უმაღლეს ტრიბუნალში ირჩეოდა საქმე წითელი უნგრეთის მთავრობის სახალხო კომისრებისა. ბურჟუაზიის მხრით მოწმეები აჩვენებენ, რომ კომუნიზმის განსამტკიცებლათ მზადდება ბურჟუაზიის ჟლეტაო.

**უკრაინის ჯარის რეორგანიზაცია.**

**ოდესა.** ივლ. 5. ვინნიცას რაიონში მოვიდა მოკავშირეთა მისია უკრაინის ჯარის რეორგანიზაციისათვის.

**ტერორისტების მზადება უნგრეთში.**

**ოდესა.** 9 ივლ. უნგრეთში მზადდება ახალი ამბები, ტერორისტებმა თეთრგვარდიელთა შავრაზმულ მოძრაობის ხელმძღვანელებს მუქარის წერილი გაუგზავნეს.

**პ ო ლ ო ნ ე თ ი.**

**რეველი.** 9/7. პოლონეთის მთავრობა და ხალხი შეშფოთებულია. თავდაცვის საბჭო მოითხოვს საფრანგეთისაგან, რომ მან ასრულოს პოლონეთის დაცვის ვალდებულებანი. პილსუდსკიმ სამხედრო წესები გამოაცხადა. თავდაცვის საბჭომ თავის თავზე დიქტატორობა მიიღო. პოლონეთის გენერლებს შესაძლებლად მიაჩნიათ პოლონეთის ჯარის ვილნო-მინსკიდან უკან დახევა.

**რეველი.** 9/7. პოლონეთმა ლიტვის დამოუკიდებლობა აღიარა.

**საბჭოთა წარმომადგენლობის პრესბიუროს ცნობა.**

**პოლონეთის ფრონტი.** დვინსკის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტრის ფრონტი გაარღვია.—როვნოს სამხრეთით ჩვენ ქალ. ოსტროგი დავიკავეთ. როვნოს დასავლეთით ბრძოლას ვაწარმოებთ მტერთან, რომელიც კონტრ-შეტევაზე გადმოვიდა. კამენეც-პოდოლსკის რაიონში ჩვენ ნოვაია უშიცა დავიკავეთ.

**ყირიმის ფრონტი.** აზოვის ზღვის ნაპირად ჩვენმა ჯარებმა კვლავ დაიკავეს ქალ. ბერდიანსკი და ნოგაისკი.

## ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა.**

✦ **სამხედრო კომისია წითელ ხიდთან.** გასულ შაბათს, დილით ადრე დამფუძ. კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი, ამავე კომისიის წევრი ერ. კალაძე და სანაპირო რაზმის უფროსი გენ. ახმეტელი გაემგზავრენ წითელ ხიდისაკენ საქართველო-ადერბეიჯანის საზღვრების და იქ მდგომ ჩვენი ნაწილების დასათვალიერებლათ. მათ დაურიგეს ჯ.-კ. საჩუქრები. ახარეს მათ ბათომის მხარის შემოერთება, რაც დაკავშირებულია აღმოსავლეთ ფრონტზე ჩვენს გამარჯვებასთან და სხ. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგ დადებულ ხელშეკრულებისა ადერბეიჯანის ნაწილები ფაქტიურათ წითელარმიელნი, მათთვის აღკრძალულ ნეიტრალურ ზონაში, სახელდობრ პატარა შიხილიში, იმყოფიან. იმავე დღეს საღამოს დეპუტატები და გენ. ახმეტელი დაბრუნდნენ თფილისს.

✦ **დიდი სეირნობა.** შაბათს, 17 ივ. ქართული კლუბის ბაღში და საზაფხულო დარბაზში ს. ს.-დ. მ, 3. თფ. ორგ. მეოთხე რაიონი და ვერის მუშათა კლუბი, თავის ნივთიერ სალსრის გასაძლიერებლად მართავს დიდ სეირნობას საღამოთი. კლუბის საზაფხულო დარბაზში მცხოვან მსახიობ ვლ. ალექსის-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ჰარტმანის სამ მოქ-

---

*) საქ. „კომუნისტ"-ში ცნობა იყო, რომ სოფ. პატრიკეთში მათ ძლიერი ორგანიზაცია აქვთ.

*) იხ. „კომუნისტი" № 41, ბუდუ მდივნის სიტყვა.

მედებიანი დრამა „შეშლილი". მთავარ როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, რის შემდეგ ცნობილ ძალთა მონაწილეობით გაიმართება დიდი ბალეტი. მოწყობილი იქნება აზიური და ევროპიული ბუფეტი, ლოტარია-ალეგრი, კიოსკი, ფოსტა და სხვა. სეირნობის დიასახლისებად მოწვეულნი არიან ქ-ნნი: მ. ჩხენკელისა, ო. გომართლისა და ო. ავალიანისა. სეირნობა გაგრძელდება ღამის სამ საათამდე.

✦ **თფილისის ქალაქის გამგეობა.** ამით აცხადებს, რომ ყველა ის პირი (მამაკაცთაგანი), რომელსაც თხოვნა აქვს შემოტანილი სოციალურ დახმარებაზე ან პენსიაზე და საანკეტო ფურცელში აცხადებს რაიმე ავადმყოფობას უნდა მოვიდეს გამგეობის 1-ლ განყოფილებაში ექიმთა კომისიისაგან მისი უნარ-მოკლებულობის გამოსაკვლევათ ოთხშაბათს, ამა ივლისის 14-ს, დილის 9 საათზე.

✦ **რკინის-გზელთა** ცენტრალური კულტურა-განათლების კომისია აცხადებს მყიდველთა საყურადღებოთ რომ ნ. ჟორდანიას წიგნი ყველა სადგურებზედ არსებულ წიგნის შკაფებში იყიდება თანახმათ წიგნზე აღნიშნულ ფასისა 100 მანეთად, და აგრეთვე ყველა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები იყიდება იმ ფასებში, რაც ზედ აწერია.

✦ **„ეშმაკის მათრახი".** ქაღალდის გაძვირების გამო „ეშმაკის მათრახი" შემდეგ ნომრიდან ეღირება ათი მანეთის მაგივრათ 15 მან., ხელის მომწერთათვის თვეში 40 მან. მაგივრად 60 მან., ხელის მომწერლებმა თუ სურთ რომ ჟურნალი დაკვეთილ დრომდე არ შეუწყდეთ უნდა გამოგზავნონ ყოველთვის ზედმეტი ოც-ოცი მანეთი.

✦ **მიწის ძვრით დაზარალებულთა მთავრობის საგანგებო კომიტეტი** წინადადებას იძლევა გამოცხადდენ იუსტიციის სამინისტროში „ვესის" და „საკვიას" პროექტების ავტორები.

✦ **ოპერა „ღალატის" კლავირი.** ვისაც სურს ოპერა ღალატის კლავირის გაყიდვა სთხოვენ მოიტანონ იგი სახელმწიფო თეატრის კანტორაში.

✦ **ბალშევიკების შეტევა სომხეთის წინააღდეგ.** საბჭოთა ჯარების ნაწილებმა დაიწყეს შეტევა ზანგეზურის წინააღმდეგ. სომხეთის მთავრობამ, სომხეთის ტერიტორიაზე ბალშევიკური რაზმების შეჭრის გამო, კატეგორიული პროტესტით მიმართა საქართველოში მყოფ საბჭოთა წარმომადგენელს კიროვს და აღერბეიჯანის საგარეო საქმეთა კომისარს ჰუსეინოვს.

✦ **თფილისის კომენდანტის განკარგულებით** 3 ივლისს ბაღ „მერცხალში" ლევორველიდან გასროლისათვის დაპატიმრებულ იქნა ქართველ მუსლიმანთა დივიზიონის კაპიტანი ფირალოვი. დასახელებული აფიცერი გაგზავნილია სამხედრო საპყრობილესთან არსებულ პაუპტვახტაში განსაკუთრებულ განკარგულებამდის.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ს. დოლიძის ახალი წიგნი—„ბუნება და ჯანმრთელობა". წიგნში მოთავსებულია მრავალი რჩევა-დარიგებანი ჯანმრთელობის შესახებ.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

სამშაბათს, 13 ივლისს, სად. 7 ს. მუშათა სასახლეში (რუსთაველის პრ. № 17) დანიშნულია თფილისში მყოფ კიეველ სტუდენტების, განურჩევლად დარგისა, მიმართულებისა და სქესისა, საერთო კრება, რომელზედაც კიევიდან ახლად ჩამოსული ამხ. მალაქია ბრეგვაძე გააკეთებს დაწვრილებით მოხსენებას იქაური მდგომარეობის შესახებ. კრებაზე გარეშეთაც შეუძლიათ დასწრება, კრების ოთახი იკითხეთ მეხუთე სართულში მ. ტყავაძესთან.

# ბალშევიკების „საქმიანობა"

**რკინის გზის მთავარ სახელოსნოს კომუნისტები.**

„საქ. კომუნისტის" 6 ივლისის ნომერში ვინმე ც—ილის მიერ მოთავსებული იყო წერილი მთავარ სახელოსნოების ცხოვრებიდან, სადაც ავტორი აღწერს უსასტიკეს რეჟიმს სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ, რომელიც თითქოს იქ გამეფებულა. უშვერი სიტყვით იხსენიებს კავშირის გამგეობას, სექციას და იქ მომუშავე ამხანაგებს გამყიდველებს უწოდებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ეს ჩავთვალეთ ბალშევიკების მორიგ პროვოკაციათ და სურვილიც არ გვქონდა საპასუხოდ დროს დაკარგვისა, მაგრამ წათამამებული ბალშევიკები ამით არ დაკმაყოფილდნენ და 8 ივლისის ნომერში ამავე გაზეთისა ჩვენ ვიხილეთ ასეთივე ხასიათის მეორე წერილი „პარმენის" ხელმოწერილი. რედაქცია ასეთ აბდა-უბდას დიდი მოწიწებით საპატიო ადგილსაც კი უთმობს.

მე არ გამოვუდგები წერილის ყველა ადგილებს, ისინი ოითონვე მოწმობენ თავის უსუსურობას და უსაფუძვლობას, მხოლოდ ყურადღების ღირსია შემდეგი სტრიქონები: „4 ივნისს მუშებს პური რაციონი ნახევარ გირვანქით დაუკლეს. მუშები ამან აღელვა, ამიტომ მუშებმა მათ (გამგეობის წევრებს,—ა. ქ.) არ დაუჯერეს და ამ დღეს არ იმუშავეს. ეს დღე მენშევიკების სექციამ მუშებს არ ჩაუთვალა, მიუხედავათ იმისა, რომ გაფიცვის მიზეზი თვით იყვნენ. ერთი სიტყვით, უმთავრეს სახელოსნოში მუშაობა მოგაგონებს კატორღელთა ცხოვრებას"... შემდეგ ავტორი უკმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ გაფიცვის ორგანიზაციები დაითხოვეს. ჯერ ერთი, აქ განზრახ არ არის ნათქვამი, რომ რაციონის ნახევარ გირვანქამდე შემცირება მოხდა მხოლოდ ორი დღით და მეორე, რომ ეს მოხდა ფრონტის საჭიროებით, სადაც რკინის გზის სასურ. კომიტეტს მოულოდნელათ მოუხდა პურის გაგზავნა. გარდა ამისა, ბევრ ცეხებს და შეგნებულ ელემენტებს მუშაობაზე ხელი არ აუღია. მუშაობას თავი მიანება უპასუხისმგებლო პირებმა და, როგორც გამოირკვა, უფრო ისეთებმა, რომელთაც წიგნებში მკვდარი სულები ეწერათ და პური ბაზარზე გაჰქონდათ.

იმ დროს, როცა ჩვენი კომუნისტები სიტყვით დამოუკიდებლობის აღიარებაში გვემხრობიან, საქმით ყველგან და ყოველთვის მას ძირს უთხრიან. 4 ივნისის ანარქიულ გამოსვლას ეს ვაჟბატონები ხელმძღვანელობდენ და უტიფრად მოუწოდებდენ თავშეყრილ მიტინგს გამგეობის წინააღმდეგ. ყველასათვის აშკარაა, რომ ეს იყო ფრონტისათვის ზურგიდან მახვილის მიზჯენა, მაგრამ ორგანიზაციების და შეგნებულ მუშების წყალობით გაუგებრობას მალე მოეღო ბოლო ბ-ნ პარმენმა უნდა იცოდეს, რომ ამგვარი მოქმედებისათვის კომუნისტურ რუსეთში შუბლში არავის ჰკოცნიან. ასეთებისათვის არსებობს „ჩრეზვიჩაიკა" და მისი ჯანი!..

მაგრამ, თუ დამნაშავეებს ასე იაფად დაუჯდა პასუხისმგებლობა, ამისათვის ისინი თაყვანს უნდა სცემდნენ ჩვენი დემოკრატიის სულგრძელობას და ლმობიერებას. პარმენი კი გაიძახის: უმთავრეს სახელოსნოში მუშაობა კატორღელთა ცხოვრებას მოგაგონებსო. რა უნდა უთხრას კაცმა ასეთ ხალხს. სხვა რომ არა იყოს რა, მოიგონეთ „პრავდის" ცნობები, რომლის თანახმად მოსკოვის „პროფსოიუზის" ცენტრს ზევიდან გადაწყვეტილებით დაუდგენია ურჩობისათვის დაშლა მბეჭდავთა და მებულკეთა კავშირებისა. იქნებ ამას ჰქვია სიტყვისა და კავშირების თავისუფლება!? მოიგონეთ ბ-ნო პარმენ შრომის მილიტარიზაცია რუსეთის ფაბრიკა ქარხნებში და კომუნისტური სუბოტნიკები. იქნებ ამაში გამოიხატება შრომის თავისუფლება? შეიძლება ჩვენში არსებულ 8 ს. სამუშაო დღეს ამან დაახწევინოს თავი „კატორღულ ცხოვრებიდან?" გარდა ამისა პარმენი ადარებს რუსთავ. პრ. სპეკულიანტების განცხრომას მუშების სიღარიბესიღატაკეს და პატეთიურად გაჰყვირის: „განა ამისთვის იბრძოდა მუშათა კლასი? მახლას რომ ეს ქვეყანა უკუღმა ბრუნავს და ამას არ ამჩნევენ ბრმები"!

პარმენისებურ ჭკუის კოლოფებს ჰგონიათ, რომ წაღმა მხოლოდ საბჭოთა რუსეთი ბრუნავს, საცა სპეკულიაცია ქუჩიდან გაირეკა, მაგრამ სარდაფებში ჩაძვრა და აქედან უსაშინელესი ბრჭყალები ჩასჭიდა ისედაც არაქათ-გამოლეულ რუსეთის მშრომელ ხალხს. მართლაც თვითონ ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ სხვის თვალში ბეწვი ეხირებოდეს და თავის თვალში დვირესაც კი ვერ ამჩნევდეს...

აკ. ჭ—ა.

# თფ. მუშათა კლასი და კომუნისტების პროვოკაცია

კვირას, 11 ივლისს, დღის 11 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის საზაფხულო შენობაში შესდგა თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ყველა პროფესიონალურ კავშირების გამგეობათა და საქარხნო კომიტეტების სასწრაფო შეერთებული სხდომა.

კრების საგანი იყო საბჭოთა აღერბეიჯანთან დადებული ზავისა და კომუნისტების პროვოკაციულ ცნობების წინააღმდეგ ზომების მიღება.

კრებას დაესწრო თფილისის 30 კავშირის და ყველა საქარხნო კომიტეტების წარმომადგენელნი და თფ. კავშირთა საბჭო, სულ 300-მდე დელეგატი.

სხდომა გახსნა პროფ. კავშირთა თავმჯდომარემ ალ. ხელაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ დღის წესრიგში დგას ერთი საკითხი აღერბეიჯანთან ზავი და აღერბეიჯანის კომუნისტურ პარტიის დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკისადმი. არავითარი მოხსენება არ იქნება, ვინაიდან საკითხი თავისთავად გამორკვეულია და უნდა განიხილოს იგი თფილისის ორგანიზაციულათ შეკავშირებულ პროლეტარიატის ამ კრებულმა.

აღერბეიჯანთან ზავი ხელმოწერილია. აქ საკითხი სდგას არა ფორმალური ზავის, არამედ—ნამდვილი, ფაქტიური ზავის შესახებ საქართველოსა და საბჭოთა აღერბეიჯან-რუსეთს შორის. ჩვენ უნდა ვაღვიაროთ, რომ ამ ზავის გარშემო ატმოსფერა მძიმდება და აღარ ვიცით ხანგრძლივია ეს ზავი, თუ მხოლოდ დროებითი და მხოლოდ დასვენებას მოასწავებს იგი. ადვილი შესაძლებელია შეიქნეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ჩვენ იძულებული ვიქნებით კვლავ იარაღს მოვკიდოთ ხელი და ჩავებან იმ ომში, რომელიც ჩვენ საერთოდ გვძაგს. შემდეგ ამხ. ალ. ხელაძე კითხულობს იმ ცნობებს, რომელიც დაბეჭდილი იყო ბაქოს „კომუნისტ"-ში ვითომდა თფილისში მომხდარ მუშათა მიტინგის დახვრეტის შესახებ, უწოდებს ამ ცნობებს პროვოკაციას და ამბობს, რომ ადვილი შესაძლებელია ბაქოს მუშები აყვნენ ამ პროვოკაციას, ვინაიდან ბაქოში არ არის სხვა პრესა, გარდა კომუნისტურისა და ვერ შეამოწმებენ მას და ჩაებან იმ ავანტიურაში, რომლის განახლებასაც ჩვენ წინააღმდეგ აწყობენ „წითელი" ბაქოს მეთაურები. ეს ხალხი არ ირცხვენენ ასეთ ჭორების თხზვას და ამას სჩადიან შეგნებულათ ახალი ომის მოსაწყობად ჩვენს წინააღმდეგ. თფილისის პროლეტარიატი, რომელიც მთავრობასთან არის ყოველთვის დ აქტიური მონაწილეა მისი საგარეო პოლიტიკისა და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისა, უნდა განაცხადოს აქ, თუ როგორ უყურებს იგი ამ პროვოკაციას და იკითხოს გვაქვს თუ არა მტკიცე ზავი. საქართველოს ლეგალური კომუნისტები პასუხს გაურბიან. ეს საკითხი განხილული იყო პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტში და გამოტანილ იქნა დადგენილება, რომელიც ეუწყა მთავრობის თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა მინისტრს და ბაქოს მუშებს. და ეხლა

# გახსენება ლხინში.

[illegible]

ბაბილინა.

[illegible]

ქართველოსთან შეთანხმების წინააღმდეგ არიან განწყობილნი. აღერბეიჯანის პოლიტიკის ნამდვილი ხელმძღვანელები იმავე დროს კომუნისტურ პარტიის ც. კ. სათავეში სდგანან, რომელიც მტრულათაა ჩვენთან განწყობილი. მოკლებულნი საქართველოს დემოკრატიის ნდობას, დიდი ხანი არაა, რაც მათ დამარცხება განიცადეს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში და იძულებულნი შეიქნენ რესპუბლიკის ტერიტორია დაეტოვებიათ; და დღეს ისინი კავკავში, ბაქოში და როსტოვში ცდილობენ სხვა სახით აწარმოონ ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ, როდესაც ბალშევიკურ გაზეთებში აქვეყნებენ ცნობებს, რომლებიც თქვენ სამართლიანათ გაღელვებენ,—თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ეს მხოლოდ რგოლია მთლიან ჯაჭვისა, რომ ეს გაგრძელებაა იმ მუშაობისა, რომელიც ბნელ მასსებს აქეზებს საქართველოს წინააღმდეგ. თქვენ იცით, რას ნიშნავს ეს: მათ უნდათ შთაბეჭდილება მოახდინონ გულუბრყვილოებზე იმით, რომ თითქოს საქართველოს მთავრობამ გაანადგურა ყველა თავისუფლება, მუშები და გლეხები დაჩაგრულნი არიან; ისინი ცდილობენ აამხედრონ ეს მასსები, საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ, ამით ჰსურთ გააკეთონ თავიანთი ბნელი საქმე. ამ მხრივ ისინი არაფრის წინაშე არ იხევენ. თქვენ იცით, რომ საბჭოთა პოლიტიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ჩრდილო-კავკასიაში ამტკიცებდა კრებებზე, რომ თითქოს ჩვენს ჯარებში არიან სუნჯის ყაზახები, რომ ამით საქართველოს საზღვრებში შექმნილია ბაზა კონტრ-რევოლიუციონერთათვის, რის გულისთვისაც საქართველოც უნდა მოსპობილიყო. დაახლოვებით ასეთივე ცნობები გამოქვეყნდა მოსკოვის გაზეთებშიაც. იქ სწერდენ, რომ თითქოს 2 მაისს თფილისში პლეხანოვის პროსპექტზე მოხდა აჯანყება ერთ-ერთ სამხედრო ნაწილისა და რომ ეს აჯანყება ჩაქრობილი იქნა სასტიკათ; თითქოს აუარებელი მოჰკლეს, დასჰრეს 200, ჩამოახრჩვეს 50. ცხადია, მხედველობაში აქვთ, ალბათ, მაისის გამოსვლა, როდესაც რამოდენიმე პროვოკატორი თავს დაესხენ მძინარე ხალხს სამხედრო სასწავლებელში. მაგრამ ამ ცნობების მეოხებით იქ, მოსკოვში, რომელიც მოწყვეტილია ჩვენზე, დიდი ხმაურობა შეიქნა და ნიადაგი მოუმზადდა ჩვენი სამტრო განწყობილებას. დიაღ, ეს მთელი სისტემაა: მხოლოდ პროვოკაციისა და ტყუილების გზით შეუძლიათ მათ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა. პატიოსანი ბრძოლა მათ არ შეუძლიათ: ეს მათვე დაამარცხებდა. რა თქმა უნდა, ადვილია ცილისწამების ქსელის გაბმა. ჩვენი, ქართველი კომუნისტებიც ასევე მუშაობენ; მაგრამ, რასაკვირველია, არა იმავე სახით. ისინი არ ბეჭდავენ ასეთ აშკარა ტყუილს, მაგრამ არსებითად იმასვე აკეთებენ, რასაც ისინი. ესენი აცხადებენ, რომ მუშათა კლასი დაჩაგრულია, დამონებული; რომ ქართველი მუშა ოცნებობს ჩამოაგდოს თავისი მთავრობა. თქვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ კომუნისტების ამ მუშაობას. დიაღ, საზავო ხელშეკრულება გვაქვს, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ერთად ერთი რეალური გარანტია ამ ხელშეკრულებისა თქვენა ხართ. მხოლოთ თქვენს მზათ ყოფნას შეუძლია დაგვიფაროს და გვიხსნას ჩვენ იმ მოულოდნელობისაგან, რასაც თქვენი მთავრობა მოელის. და მთავრობა მოგიწოდებს თქვენ ჩვეულებრივის გაბედულობით და ყურადღებით მოეპყრათ თქვენს რესპუბლიკას. ქართველებს არა ჰყავთ მეგობრები. ღრუბლები იკრიბებიან. არ არის იმის გარანტია, რომ უპასუხისმგებლო ელემენტები კვლავ არ გაართულებენ მდგომარეობას. და დღეს, როდესაც საქართველომ იგემა ბრწყინვალე გამარჯვება ბათომში, როდესაც საქართველოს დროშის წინაშე ძირს დაეშვა მოკავშირეთა დროშა (ტაში), როდესაც მივაღწიეთ ისეთ მონაპოვარს, რასაც სავსებით მხოლოთ ისტორია დააფასებს,—ამ დროს ჩვენ გაათკეცებულის ენერგიით უნდა მოვსპოთ ყოველგვარი პროვოკაცია, რომელიც ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგაა მიმართული. თქვენ უნდა სთქვათ, რომ არავის მისცემთ ნებას და საშუალებას ძალით მოგახვიონ თავზე თქვენოვის უცხო ნება. თუ კი იქნება თქვენი ამგვარი რევოლიუციონური გადაწყვეტილება,—მაშინ ვერავითარი პროვოკაცია ვერ დასძლევს თქვენს მთავრობას. როდესაც გამოქვეყნდა პროვოკაციული ცნობა, რამაც თქვენ აგაღელვათ, ჩვენ განვაცხადეთ პროტესტი და ჩვენ გვიპასუხეს, რომ ბაქო მოწყვეტილია თფილისიდან და რომ მომავალში, როდესაც ბაქო-თფილისს შუა მიმოსვლა აღსდგება, ასეთ მოვლენასაც ალაგი არ ექნებაო. მე მტკიცეთ მწამს, რომ თქვენ მხარში უდგიხართ თქვენს მთავრობას; თვენ იცით, რომ იგი პატიოსნათ ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოსა და თქვენს წინაშე; მაგრამ რათა დაცული იქნეს ხელუხლებლობა და ჩვენი რესპუბლიკა,—საჭიროა სრული თქვენი ერთობა და თანაგრძნობა ჩვენდამი. მხოლოდ თქვენის დახმარებით და თქვენის საშუალებით ჩვენ შევსძლებთ განვაგრძოთ ჩვენი მუშაობა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის სფეროში (მქუხარე ტაში).

(დასასრული იქნება).

**რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა**

საქართველს მშრომელმა ხალხმა გამოიჩინა შესანიშნავი ერთსულოვნება იმ თავდაცვით ომში, რომელიც მოუხდა ჩვენ რესპუბლიკას მოულოდნელათ „გაწითლებულ" აღერბეიჯანთან. თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ის დიდი სიხარულით შეხვდა მეზობელ ერთან მომხდარ საზავო ხელშეკრულებას. სამწუხაროთ საბჭოთა აღერბეიჯანის მეთაურები თავისი ყოველდღიური საქმიანობით ძირიანათ არღვევენ ამ ხელშეკრულებას.

ბაქოს კომუნისტური გაზეთები ავრცელებენ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ განგებ შეთხზულ ამბებს. გულუბრყვილო მკითხველსაც კი შეუძლია დაინახოს, რომ ამ „ცნობებს" აზის წმინდა პროვოკაციის ბეჭედი. ასეთი იყო, სხვათა შორის , „ერთობაში" და „ბორბაში" „კომუნისტიდან" გადმობეჭდილი „დეპეშა" თბილისში 27 ივნისს ვითომ მომხდარი მუშათა ყრილობის და მისი დახვრეტის შესახებ.

ამისთანა მოგონილი ამბებით „საბჭოთა" აღერბეიჯანის პრესა საშინლათ ამწვავებს ორი მეზობელი მშრომელი ხალხის ერთმანეთთან განწყობილებას. ბაქოს გაზეთები ხელოვნურად ამხედრებენ აღერბეიჯანის მუშა-გლეხობას საქართველოს მუშა-გლეხობის წინააღმდეგ.

ეს პროვოკაცია ჩვენ მუშათა წრეებში იწვევს აღშფოთებას და დღევანდელი შეერთებული კრება პროფესიონალურ კავშირების და საქარხნო კომიტეტებისა მოითხოვს საქართველოს დემოკრატიული მთავრობისაგან, რომ დაუყონებლივ ზომებით ბოლო მოუღოს ამ პროვოკაციას.

კრება ძმურ სალამს უგზავნის ბაქოს მუშებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა „წითელ" მმართველებთან და რომლებიც დღეს გარბიან ბაქოდან.

საქართველოს მუშათა კლასი არასოდეს არ შეურიგდება ბალშევიკების ანარქიულ პოლიტიკას და არ გადაუხვევს დემოკრატიულ გზას, რომელიც ერთად ერთი გზაა სოციალიზმის განსახორციელებლათ.

ძირს გამანადგურებელი ანარქია და მშრომელი ხალხის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო ომი!

გაუმარჯოს საქართველოს და აღერბეიჯანის მუშა-გლეხობას!

გაუმარჯოს საერთაშორისო დემოკრატიას და სოციალიზმს!

# პ ა ს უ ხ ი*)

**„მოლოდოი პროლეტარის" სარედაქციო კოლეგიას და საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს.**

სპარტაკელებისაგან ჩვენ მოვითხოვეთ „მნიშვნელოვანი საბუთებისა და ფაქტების" გამოქვეყნება. მათი „პასუხი" კი (იხ. რუსული „კომუნისტი" № 6) მარტოოდენ განმეორებაა ბ-ნ სტ. როზინის ცილისწამებისა და ინსინუაციის, მხოლოდ უფრო რბილი სტილით და ზოგიერთი შემოკლება—დამატებით. ამ „პასუხში" მიფუჩეჩებულია ორი „ბრალდება" სტ. როზინმა რომ წამოაყენა: პირველ მაისისა და მისი (როზინის) საქართველოდან გადასახლების შესახებ. რაშია საქმე? კვალიფიკაციაში ხომ არ გვეთანხმებით? თუ გვეთანხმებით, რატომ არ აღნიშნავთ ამას და არ ამბობთ, რომ ეს ცილისწამება მარტო როზინის შემოქმედებაა. სანამ ეს არ გითქვამთ ამ ცილისწამების ავტორად ვთვლით სპარტაკელების ორგანიზაციას მთლიანად. სამაგიეროდ „მოლოდოი პროლეტარის" ყოფილი (!) სარედაქციო კოლეგია **მოგვითხრობს** ჩვეულებრივი კომუნისტური კილოთი ჩვენი ცენტრალური კომიტეტის რაღაც სხდომაზე, რომელიც უნდა მომხდარიყოს აპრილის ბოლო რიცხვებში და რომელსაც სხვათა შორის დასწრებია მინისტრი ნ. რამიშვილი. ეს სიცრუე ალბათ შთაბეჭდილების გასაძლიერებლათ დასჭირდათ ბ.ბ. კომუნისტებს. სხდომას უნდა განეხილა მთელი რიგი საკითხებისა სპარტაკელებთან საბრძოლველი ზომების შესახებ და ბოლოს აურჩევია წარმომადგენლები სისხლის სამართლის მილიციასა და განსაკუთრებულ რაზმში. ამასთანავე არ არის დასახელებული, თუ სახელდობრ, რომელ რიცხვში მოხდა სხდომა და არ არის დაბეჭდილი პირი სხდომის ოქმისა. „საბუთი" სწორეთ რომ კომუნისტურია. თავის თავად კი მთელი ეს უმგვანო ლაყბობა თავიდან ბოლომდე **შეიცავს ბოროტ ცილისწამებას და მტკნარ, განზრახ შეთხზულ სიცრუეს**. ამ „პასუხიდან", სხვათა შორის, შევიტყვეთ, რომ ჩვენს ორგანიზაციას ჰქონია თფილისის კომიტეტი და ცენტრალურ კომიტეტის წევრათ ჰყოლია ვარლამ მიქაძე. ნამდვილათ კი, კონფერენციის დადგენილებით თფილისის კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდა ჯერ კიდევ იანვარში და ცენტრალური კომიტეტის წევრათ ვარლამ მიქაძე არჩეული არ ყოფილა.

აი ასეთი „ფაქტებით" უმასპინძლდებიან თავისი ორგანიზაციის წევრებს ბ-ნი სპარტაკელები. მათთან კამათის გაგრძელება უბრალო წყლის ნაყვა იქნებოდა. ამისთვის არც დრო გვაქვს და არც ხალისი.

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტი უარყოფს სპარტაკელების ყველა „ბრალდებებს", როგორც საზიზღარ ცილისწამებას და წინადადებას აძლევს **მათ სამი დღის განმავლობაში დღიდან** ამ წერილის გამოქვეყნებისა პრესაში გამოაცხადონ თანხმობა მათი „ბრალდებებს" სოციალისტურ პარტიათა შორისო სასამართლოში გარჩევაზე და დანიშნონ თავიანთი წარმომადგენელი პირობებში შესათანხმებლად.

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრალური **კომიტეტი.**

8 ივლისი 1920 წ.

# ბათომის დღე თფილისში

9 ივლისს ბათომის და მისი ოლქის საქართველოზე გადმოცემის გამო მუშათა პროფ. კავშირთა ინიციატივით

*) ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება. რედ.

თფილისში გაიმართა მანიფესტაცია—მიტინგი. დადგენილება ამის შესახებ პროფ. კავშირებმა მხოლოდ წინა დღეს გამოიტანეს. მიუხედავათ ამისა მანიფესტაციაში 15—20 ათასმა მუშამ მიიღო მონაწილეობა.

დილის 11 ს. მთელ თფილისში ყველა ქარხანა-წარმოებასა და დაწესებულებაში მუშაობა შესწყდა და ქალაქის ყოველი კუთხიდან მუშათა სასახლისაკენ მწყობრათ დაიწყო დენა მუშათა პროცესიებმა რევოლიუციონური პროფესიული და ეროვნული დროშებით. აქეთკენვე გაემართა მუშების მიერ წითელ და ეროვნულ დროშებით და მწვანე გრეხილებით მორთული ავტომობილები. მუშათა პროფესიებს და ავტომობილებს ქონდათ აგრეთვე პლაკატები რომლის წარწერები ასეთი იყო: „გაუმარჯოს ბათომს,“ „სალამი ბათომს“, „გაუმარჯოს რევოლიუციონურ ბათომს“ „ვაშა დემოკრატიის გამარჯვებას ბათომში“ და სხ. მრავალი. განსაკუთრებით ყურადღების ღირსი იყო და ლამაზათ მორთული მკერვალ ქალთა პროფ. კავშირის, სატრანსპორტო საზოგადოების ავტომობილები. 12 საათისათვის რუსთაველის პრ. გამოჩნდა სხვადასხვა კუთხიდან ყველა თამბაქოს, საპნის და ზეთის ქარხნების მუშათა პროფესიები დროშებით. შემდეგ ბარიათინსკის ქუჩით ამოვიდა და ვაჟთა გიმნაზიის წინ დაეწყნენ არსენალის მუშები 1000 მეტი კაცი. ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ წამოსულიყო ყველა მუშა-ქალი და კაცი სამუშავო ტანისამოსშივე და ყველა, განურჩევლათ ეროვნებისა. თავისუფლების მოედნიდან არტისტიულ თეატრამდე გაივსო მანიფესტანტებით. პროცესიებს ილებდნენ და მიჩნეულ ადგილზე აყენებდნენ საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმი. დაახლოვებით $12^1/_2$ საათზე ვერის ხიდის მხრიდან გამოჩნდა რამდენიმე ათასი რკინის გზელთა უზარმაზარი პროცესია საკუთარი ორკესტრით.

1 საათზე დასრულდა პროცესიების მოსვლა და სასახლის წინ საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარე ალ. ხელაძემ გახსნა მიტინგი. სასახლის წინ ორ ალაგას იყო გამართული ტრიბუნა. მიტინგის წინ სასახლის წიმ მდგარმა 3 ორკესტრმა ჯერ-ჯერობით შესრულა რევოლიუციონური სიმღერები: „ამხანაგებო თამამათ“!, „მარსელიოზა“ და „ინტერნაციონალი“.

**ალ. ხელაძემ** მიტინგი შემდეგი მოკლე სიტყვით გახსნა: თფილისის პროფ. კავშირთა სახელით მუშათა მიტინგს გახსნილათ ვაცხადებ. თფილისის პროლეტარიატს, რომელიც საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს მუდამ წინ მიუძღვის, მოულოცავ, რომ მისი მედგარი, შეგნებული ბრძოლით და ქკიანური მოქმედებით ბათომი დაუბრუნდა საქართველოს. ბათომის მნიშვნელობა საქართველოს პროლეტარიატისთვის მეტად დიდია. თფილისის პროლეტარიატს სურს, რომ დღეს ეს გამარჯვება მოულოცოს მის მიერ არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ (ტაში) გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! (ხალხი აღფრთოვანებულ ტაშს უკრავს. ორკესტრი ეროვნულ ჰიმნს ასრულებს), გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს ჩვენს საბოლოო მიზანს—სოციალიზმს!“ (ტაში და ჰიმნი).

**ი. ირემაშვილი** აღნიშნავს, რომ საქართველოს პროლეტარიატმა, რომელიც მთელ დემოკრატიასთან ერთად ერთ მტკიცე შეუდრეკელ ჯარათ გადაიქცა, დიდი ხნის განმავლობაში მედგარი, შეგნებული ბრძოლით და მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით თავისი დიდი ხნის ბრძოლა რევოლიუციის კერის—ბათომის დაბრუნებით და-

[illegible]

იდგა, ბათუმი—რევოლიუციის აკვან ჩვენს მოსისხლე მტერს ოსმალეთს გადასცეს. დღეს პატარა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოჭედილია და ცნობილია. მშრომელი მასის წარმომადგენელნო, თქვენი მაჯით ჩვენი მოვალეობა პირნათლათ შევასრულეთ. არც ერთი დიდი სახელმწიფო ანგარიშს არ გაგვიწევდა, თუ საქართველო შიგნით არ განმტკიცდებოდა. თქვენ წინაშე ეხლა ქედს იხრის არამც თუ საერთაშორისო მშრომელთა ინტერნაციონალი, არამედ კაპიტალისტური ინტერნაციონალიც. (ტაში და „ვაშას“ ძახილი), დღეის ლოზუნგია გამარჯვების შენარჩუნება, იმის გამტკიცება, რაც მოვიპოვეთ. ჩვენ გვერდში დგანან ქართველი მაჰმადიანები. მათ შესახებ ბევრი რამ გაგვიგონია, მაგრამ მე კარგათ ვიცნობ ამ მხარეს, მე ვიცი, რომ მათ დიდი გაჭირვება გამოიარეს ჯერ კიდევ ომის დროიდან. მართალია, ზოგს გზა აებნა. ჩვენ უნდა ზომები მივიღოთ მათი გაჭირვების და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. უნდა განვამტკიცოთ მთლიანობა. ჩვენი ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. საერთო ძალით უნდა შევებრძოლოთ იმათ, ვინც გვიპირებს კიდევ დაჩაგვრას. ჩვენ კი მეზობლებისთვის მეგობრები ვართ, მაგრამ ვინც ჩვენზე მოდის, მათ შევებრძოლებით. გაუმარჯოს რევოლიუციონურ დემოკრატიას, მის ჯარს და გვარდიას!“ (გაუმარჯოს და „ვაშას“ ძახილი. ხანგრძლივი ტაში. მუსიკა ეროვნულ ჰიმნს უკრავს).

**ნ. რამიშვილის** ტრიბუნაზე გამოსვლას მიტინგი ტაშით და „ვაშას“ ძახილით ხვდება. ამხანაგებო! მოგილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას. 2 წლის წინათ დავკარგეთ ბათომი, მაგრამ ერთი წუთითაც ეჭვი არ შეგვიტანია, რომ დიდი დრო არ გავიდოდა, და ბათომი დაგვიბრუნდებოდა. ასეთი მტკიცე რწმენა იმიტომ გვქონდა, რომ რესპუბლიკას სათავეში უდგია დემოკრატია, რომელიც არავის არას ართმევს, ხოლო თავისას არავის დაანებებს. (ტაში) მაშინ ჩვენ გვწამდა, რომ დაინგრეოდა ტახტები მეფეების, ბეგების, ფაშების და საქართველოს ეს ნაწილი კვლავ შემოუერთდებოდა დედა სამშობლოს. ეს ასრულდა. ზრუნვა და ფიქრი ერთი წუთითაც არ დაგვიტოვებია, მაგრამ არ ვდგამდით ისეთ ნაბიჯს, რომ სისხლი დაღვრილიყო და მეტი მსხვერპლი დახარჯულიყო. ჩვენ მცირე მსხვერპლით მივაღწიეთ გამარჯვებას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბათომის დაბრუნება დიდი მნიშვნელოვანი ამბავია. მოხდა მთელ ისტორიაში და კერძოდ ინგლისის ისტორიაში არ ნახული ამბავი—დიდმა ინგლისმა ჩამოხსნა თავისი დროშა და აღმართა პაწია საქართველოს დროშა. ეს მოხდა ბათომში (ტაში) გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს და მის გაერთიანებას დანარჩენ საქართველოსთან! (ხანგრძლივი ტაში. „გაუმარჯოს“ ძახილი. მუსიკა ასრულებს ეროვნულ ჰიმნს).

**ალ. ლომთათიძე.** (ხალხი ტაშით და ვაშას ძახილით ხვდება). განმარტავს ბათომის დაბრუნების მნიშვნელობას და მოუწოდებს იბრძოლონ მტრების წინააღმდეგ დამფუძნებელ კრებასთან მხარ და მხარ, რომელიც არ გადაუხვევს დემოკრატიულ გზას კანონმდებლობაში და მოუწოდებს წარმოთქმული სიტყვები საქმეთ აქციონ. (ორატორს ტაშით აცილებენ მუსიკა ჰიმნს უკრავს.

მიტინგზე ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. **ის. რამიშვილმა,** ამხ. **ქადაგიშვილმა, იოს. იმედაშვილმა. იოს. ზარათაშვილმა, სპ. კედიამ** და ბათომელმა მუშამ **ლევინმა,** რომელმაც სთქვა: ბრძოლა ბათომის დასაბრუნებლათ დიდი ბრძოლა იყო. ვერ წარმოგვედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა, რომ რევოლიუციის

[illegible]

გაჩეჩილაძემ და ზ. კოვზირაძემ 12,000სი მ., ვ. წაქაძემ 10,000 მ., ი. ჩუბინიძემ. 8,000 მ., ზ. ყუფარაძემ 5,000 მ., დ. მახარაძემ 5,000 მ., პ. ებანოძე 5,000 მ., ძმ. შალამბერიძეებმა 5,000 მ., მ. გაჩეჩილაძემ 5,000 მ., საკრედიტო ამხანაგობამ 5,000 მ., თ. ბუჯანაძემ 4,000 მ., ო. ჩოგავაძემ 3,000 მან., ვ. ჩოგავაძემ 2,000 მ., ფ.-ტელ. მოსამსახურეებმა ერთად 1380 მ., ო. მანაგაძემ 1500 მან., ვლ. მაღლაკელიძემ 1500 მ., ყ. ებანოიძემ 1500 მ., ვ. კობახიძემ 1500 მ., ე. აქსამდროპულომ 1500 მ., ძმ. თ. გაჩელაძეებმა 1500 მ., პ. ხარაზოვმა 1500 მ.. მ. დანელიამ 1500 მ., ვ. ჭულუხაძემ 1500 მ., ძმ. მაღრაძეებმა 1000 მ., თ. მესხიშვილმა 1000 მ., ს. ნებიერიძემ 1000 მ., მამალაძემ და ამხ. 1000 მ., ი. გუნცაძემ 1000 მ., ლ. ბიბილა 1000 მ., ო. ბოჭორილმა 800 მ., ს. კობახიძემ 800 მ., ვ. კაპანაძემ 1500 მ., ი. ჟღენტმა 1000 მ., ბ. სავანდელიძემ 600 მ., ს. ოქოევი 600 მ., ნ. კუხიანიძე 600 მ., კ. თორთლაძემ 600 მ., უ. მუმლაძემ 600 მ., ა. ჯოჯუა 600 მ., კ. ბუაძემ 600 მ., ჭ. ბალდავაძემ 600 მ., ნ. დუბულაშვილმა 300 მ., ი. შეყრილაძე 600 მ., კოლ. გეწაძე 600 მ., კ. ჩუბინაძემ 600 მ., ლ. ალავიძემ 600 მ., ო. შენგელია 600 მ., ხ. ხავთასი 600 მ., ქლიაბაძე 1000 მ., მ. ბუცხრიკაძე 800 მ., პ. გველესიანმა 600 მ., ა. არაბიძემ 600 მ., ა. ბულეიშვილი 600 მ., მ. აბრამიძე 600 მ., გ. დევდარიანმა 500 მ., ლ. გოცაძემ 500 მ., ი. აბაშიძემ 500 მ., პ. ჭყონიძე 500 მ., დ. გოგიაშვილმა 400 მ., ბ. შავდია 300 მ., პ. რაბაროვსკი 250 მ., დ. საკანდელოვი 250 მ., დაშნიანი ამხ. 250 მ., ბ. ბურაკოვი 300 მ., დ. კვანტრაძე 250 მ., ი. კვეტენაძე 500 მ., ს. ალავიძე 250 მ., გ. კიკნაველიძე 250 მ., ლ. თოდრია 250 მ., შეყრილაძე 250 მ., ა. ჯალაღანია 250 მ., ა. მაჭავარიანი 200 მ., ლ. ლუტიძე 250 მ., გაჩეჩილაძე ბესარიონ, ოჯაროაძე 100 მ.

ზემოაღნიშნული ფულების ანგარიშიდან შ. საქ. ფრონტის დამხმარე კომიტეტმა ჯერჯერობით გადაგზავნა თფილისში მთავარ კომიტეტთან 100,000 მ.

ყოველგვარი შემოწირულება შემდეგშიაც იქნება გამოცხადებთლი გაზეთებში.

შორაპნის სამაზრო კომიტეტის დავალებით **ი. მაღლაკელიძე.**

---

თფილისის მაზრის სახალხო სკოლების ინსტრუქტორმა ივ. გომელარმა ჩააბარა ამავე მაზრის ერობის გამგეობის კასას მასწავლებლების მიერ შეგროვილი ფრონტის სასარგებლოდ 21,782 მ. 70 კ. დანიშნულებისამებრ გადასაგზავნათ: ს. ქვემო ავჭალის სკოლის გამგე ანდრია მაისურაძისაგან მიღებულია 804 მ., მარტყოფის ბარბარე ბერიშვილისაგან 1701 მან., ვაშლოვანის ბარბ. დავითაშვილისაგან 883 მ., დიდი დურნუკის კლამ ხაჩატუროვისაგან 330 მ., ბორეალის მარ. გუზიტაშვილისაგან 399 მ. 50 კ., ნინოწმინდის ლევ. ნადირაძისაგან 1512 მ. 20 კ., კოჯრის მატ. ჩაჩავასაგან 3500 მან., თოხლიაურის მასწ. ხანდამაშვილისაგან 1774 მ., საგარეჯოს ანა გარსიაშვილისაგან 3928 მ., გიორგიწმინდაში შეკრებილი. ერ. გულისაშვილისაგან 4251 მ., მანავში გამგე ალ. ფირანიშვილისაგან 1160 მ., გლდანის გ. ყირიმელაშვილისაგან 624 მ., დიღმის სკოლის სერ. ივანოვისაგან 21,782 მ. 70 კ.

## მიწათ-მოქმედების სამინისტროში

**ბრძანება მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგისა.**

9 ივლისი 1920 წ.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა, შევუდექი რა ჩემი მოვალეობის ასრულებას, მივესალმები ჩვენ თანამშრომლებს და ვუსურვებ მათ გარკვე-

[illegible]

თვის და არა ხალხი სამინისტროსათვის.

მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი **მალანია.**

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 8 ივლისს შესდგა ს. ს.-დ. მ. პარ. პირველ რაიონულ კოლექტივის მორიგი სხდომა ამხ. მიხა ძამანაშვილის თავმჯდომარეობით. მოხსენება ცენტრიდან, წარმომადგენელის დაუსწრებლობის გამო მოხსნილ იქნა და სხვა დროსთვის გადაიდო.

ამხ. ი. გიორგაძე აცნობს კრებას, რომ ბათუმის ჩვენს ხელში გადმოცემის გამო თფილისის პროფეს. კავშირების საბჭომ გადასწყვიტა 9 ივლისს მოაწყოს მანიფესტაცია: ამ დღეს დილის 11 საათ. ყველა ფაბრიკა-ქარხნებში შესწყდება მუშაობა და მუშებიც მწყობრათ გაემართებიან მუშათა სასახლისაკენ.

ხელმძღვანელ კომისიის დასახმარებლათ რაიონიდან არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: კ. მაჭარაძე, ს. დოლიძე, ი. გიორგაძე, თ. მეგრელიშვილი და დ. კილაძე, შემდეგი საკითხი, მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ, გადატანილ იქნა შემდეგ სხდომისათვის, ამ დღისთვის ამხანაგები შეკრებენ ცნობებს ამ საკითხის შესახებ; ამხანაგები დაესწრებიან სატარიფო პალატის სხდომაზე რომელიც ტარიფის საკითხს სამშაბათს, 13 ივლისს, განიხილავს და აგრეთვე გაეცნობიან რკინის გზელთა დადგენილებას ამ საკითხის შესახებ.

შემდეგი საკითხი ნაძალადევის კლუბის ბუფეტში ღვინის გაყიდვის შესახებ იწვევს ცხარე კამათს. კოლექტივის თითქმის მთელი შემადგენლობა წინააღმდეგია, რომ მუშათა კლუბში იყიდებოდეს მაგარი სასმელები, ვინაიდან მაგარ სასმლების გაყიდვას ხშირათ მოჰყვება დიდი უსიამოვნება. კოლექტივს გამოაქვს შემდეგი დადგენილება: ამიერიდან აიკრძალოს ნაძალადევის და მუშტაიდის კლუბების ბუფეტებში ღვინის გაყიდვა. დადგენილება მიღებულ იქნა ერთის წინააღმდეგ. დადგენილება ეცნობება რკინის გზების მუშამოსამსახურეების პროფეს. კავშირების ს.-დ. ფრაქციის ცხოვრებაში გასატარებლათ. გარდა ამისა დაადგინეს კლუბების მდგომარეობის დაწვრილებით გასაცნობათ მოწვეულ იქნეს კოლექტივის მორიგ სხდომაზე აღნიშნულ კავშირთან არსებული კულტურა-განმანათლების სექციის თავმჯდომარე ამხ. ცენტერაძე მოხსენების გასაკეთებლათ. ბოლოს კრება ადგენს პარტიაში ჩაწერის მსურველთ გადახდეთ საწევრო გადასახადი იმ თავიდან როდესაც ისინი პარტიაში ეწერებიან. დასასრულ კოლლექტივმა დაადგინა მიეცეს თფილისის კომიტეტს სესხის სახით 10,000 მან.

მდივანი **გ. ფოფხაძე.**

---

**თფილისი.** 8 ივლისს ამხ. ს. ვადაჭკორიას თავმჯდომარეობით შესდგა ს. ს.-დ. მ. პარტიის მეოთხე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე ამხ. ნ. რამიშვილი აკეთებს მოხსენებას პარტიული მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. დასასრულს კრებამ ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ს.დ. პარტიის მეორე ყრილობაზე იქნა გამოტანილი პარტიული მუშაობის შესახებ. X.

## მუშათა შორის

**ბორჯომი.** ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ქ. ბორჯომში დასაარსებლათ შესდგა კრება, რომელზედაც დაესწრო შრომის მინისტრის რწმუნებული ქ. ბორჯომში—ამხ. ბაქრაძე და თფილისის კავშირის რწმუნებული—ამხ. მიმინაშვილი. დღის წესრიგში იყო: 1) გამგეობის არჩევნები, 2) უმუშევართა საკითხი და 3) მიმდინარე კითხვები. კრებამ ერთხმათ აირჩია კრების თავმჯდომარეთ ამხ. მიმინაშვილი მდივნათ ი. ლორია. თავმჯდომარე ხსნის რა კრებას, მიესალმება მას თფილისელ ამხანაგების სახელით. არჩეულ იქნა კავშირის გამგეობა სამი კაცისაგან: გოგოლაძე, ი. ჯიბლაძე და ნ. ჯიბუტი; ამათში თავმჯდომარეთ აირჩიეს გოგოლაძე. არჩეულ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისია შემდეგ პირებისაგან: ე. მაღულარია, ა. მიმინაშვილი და ა. გოქაძე, მდივნათ ი. ლორია და მოლარეთ მაღულარია. მეორე კითხვის მოწესრიგება კრებამ მიანდო გამგეობას.

მიმდინარე მომენტის შესახებ ილაპარაკა შრომის მინ. რწმუნებულმა ბაქრაძემ, რომელმაც აღუთქვა კრებას სრული დახმარება. კრება კმაყოფილი დარჩა.

## პროვინცია

**სოფ. მარაბდა** (თფილისის მაზრა). სად. სანდარიდან 7 ვერსის მანძილზედ მდებარეობს ძველი სოფელი მარაბდა. აქვე გადმოსახლებულან ყაზბეგიდან 45 კომლი — მოხევეები. მიწად-მოქმედების სამინისტროს გადმოსახლების განყოფილებას ამათთვის მიუზომია საკმაოდ ნაყოფიერი მიწები, დაახლოვებით ათ-ათი დესეტინა კომლზედ, მაგრამ ამ მიწების დასამუშავებლად და საჭირო თესლების შესაძენად მოხევეებს, რაც საქონელი ჰყოლიათ, გაუყიდნიათ. სამაგიეროდ მოსავალს კარგს მოელოდნენ და ფიქრობდნენ შემოდგომიდან ბინების აშენებას და ოჯახურად მოწყობას, მაგრამ ბედმა უღალატა.

23 ივნისს მოვიდა არაჩვეულებრივი, დიდი სეტყვა, რომელმაც თითქმის მთლად გაანადგურა მთელი წლის მოსავალი. ასეთი მსხვილი და ხანგრძლივი სეტყვა აქ ჯერ არავის უნახავს.

1 ივლისს თფილისის სამაზრო ერობის აგრონომიულ განყოფილების დავა-

[illegible]

და მაინც არ ეტანებაო“. პურის ზარალი მეტია, რადგანაც სეტყვა იმ დროს მოსულა, როცა მარცვალი მოუწევარი იყო, რბილი და ნორჩი. ქერი გაილეწება, მაგრამ მარცვალი შედარებით ცუდი ღირსების იქნება. დაუსეტყვავი ყანები მშვენიერად გამოიყურებიან და დო კარგი მოსავლის იმედს იძლევიან. საზოგადოთ სოფ. მარაბდა და იმისი არე-მარე პურის რაიონად ითვლება. მიწა თავის-თავად ნოყიერია.—პატივს არ თხოულობს.

ბაღ-ვენახების მოშენების საქმეში აქ არავითარი კულტურული მუშაობის ნასახიც არა სჩანს. აქვე ახლოს გერმანელების ევროპიული წესით მოწყობილი ბაღ-ვენახებია გაშენებული, მაგრამ მარაბდელებზედ კულტურულ მეზობლებს არავითარი გავლენა არა ჰქონიათ, გარდა კარტოფილისა, რასაც მერაბდელები ბლომად სთესავენ. კარტოფილი ბევრი მოჰყავთ დურნუკელ სომხებსაც.

მოხევეები რესპუბლიკის ერთგული ხალხია. მიუხედავად სტიქიურ უბედურებისა, ეკონომიურად დაქვეითებისა, შიმშილისა და სხვა მომავალს იმედიანად უყურებენ. „თუ ეხლა მთავრობის დახმარებით ეს კრიზისი გადავიტანეთ, მომავალში გაასკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ, ჩვენს ცოლ-შვილს შევინახავთ და, თუ საჭიროება მოითხოვს, არსებულ წესწყობილების განმტკიცებას თავს შევსწირავთ, სამშობლოს გარეშე მტრისგან დავიცავთო“ — ამბობენ მოხევეები.

საჭიროა სწრაფი დახმარება სათესლე პურის მიწოდების სახით და აგრეთვე უფასოთ ან დაკლებულ ფასებით უნდა დაეთმოთ ტყის მასალა სახლების ასაშენებლად, თორემ ამ ჟამად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირდაპირ ცის ქვეშ უხდებათ ცხოვრება.

მაზრის ინსტრუქტორი **ე. ჩხატარაიშვილი.**

## წერილი რედ. მიმართ

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან არსებული სანდრო მაისურაძის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა გულითად მადლობას სწირავს; ფრონტის დღის კომიტეტს (შემოსწირა 15,000 მანეთი) საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირს (10,000 მან.), მეთამბაქოთა კავშირს (3,000 მ.), ქართ. შორის წ. კ. გამ.-საზოგადოებას (1000 მან. ფულად და თითო ეგზემპლიარი თავისი გამოცემისა) და ქალაქის გამგეობის სამოსწავლო განყოფილებას (1000 მან.) რათა მათ საჭიროდ დაინახეს თავიანთი წვლილის შეტანა ისეთ სიმპატიურ საქმისათვის, როგორიცაა მუშათა წიგნთ-საცავ სამკითხველოს არსებობა.

ც ნ ო ბ ე ბ ი.

ივნისის პირველ რიცხვებში დამეკარგა 11 წლის ვაჟი კოსტა, რომელიც სურამში მსახურებდა რკინის გზის მაბტარებლების ყოფილ რევიზორ ქურდევანიძესთან. ეროვნებით ოსი ტანათ საშუალო, მსუქანი ბავშვია, ტანთ აცვია ძველი ბლუზა-შარვალი, თმა ქერა აქვს, ლაპარაკობს ოსურათ და ქართულათ. მნახველს ვთხოვ, აცნობონ გორის ჟურნალ-გაზეთების კიოსკში განო მუზაევისას.

გორის საქონლის ყარაული მიტრო ხაჩირაშვილი.

---

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

## განცხადებანი

**ყოფილი დამაარსებელი და გამგე სრულ-უფლებიანი გ ი მ ნ ა ზ ი ი ს ა**
მათემატიკის მასწავლებელი, ივ. მარკ. მაჩაიძე. ამზადებს მოზრდილთა 4,5,6,7 კლას. შესასვლელად. ყველა სასწავლ. და მოწაფეებს განმეორებითი გამოცდებზე; მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: პლეხანოვის ქუჩა 25. (ყოფ. მიხეილის ქ.) შესავალი ალექსის ქ. 5. 9—11 ს. 4—6 ს. საღ. (2169—7—7)

[illegible]

რამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საჩმართველოს პირდაპირ. (2264 —თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკიელი**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საავადმყოფო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ე ქ ი მ ი
გენრიხ ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ე ქ ი მ ი
**გ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 —თ.

ე ქ ი მ ი
**ა. ლევენშტეინი**
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

**ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ე ქ ი მ ი
სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ე ქ ი მ ი
**ნ. მ. გაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

ქ. თფილისის სახლის პატრონთა **კავშირი**
ამით აცნობებს იმ სახლის პატრონებს, რომლებსაც აქნამდის არ შემოუტანიათ ამ 1920 წლის საწევრო ფული დააჩქარონ შემოტანა. საწევრო ფულის შეგროვება დავალებული აქვს კავშირის აგენტებს, რომლებსაც აქვთ კავშირიდან სათანადო მოწმობა. კავშირთან დაარსებული არის უფასო კონსულტაცია. იქვე საჭირო არის აგენტები ფულების შესაკრებად. პუშკინის ქ. № 15.
(2244—3—2) გამგეობა.

**განცხადება**
რკ. გზის კოოპერატივში № 1, ვოგზლის ქ. იყიდება ყოველ დღე ყინული დილის 9—11 ს. ფუთი ღირს 50 მან. (ნ. 3—2)